# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრბოს გაცდენა ყველა პატიოსანს უნდა ეთაკილებოდეს.


ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი. 2017 წ. №209 (8346), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.




# აზიური ფაროსნები და გათავხედებული ნაციონალები



## ერთდროულად უტევენ საქართველოს და ქართულ დემოკრატიას!

**გუშინ თბილისის საკრებულოსთან აღვირახსნილმა ნაციონალებმა და „ევროპულმა საქართველომ“ სრულად გამოიმჟღავნეს თავიანთი დემაგოგიური და პროვოკატორული სახე!**






## ქვების სროლა კუმურდოში! 3

## რუსოფობია დამღუპველია ქვეყნისთვის 5

## რუსები იტყუებიან და ამას ისინი უწყვეტად აკეთებენ! 8

# თბილისის უარი ერევანს

**ქვეყანა უფლებამოსილია უარი უთხრას იმ ელჩის კანდიდატურას, რომელიც შემჩნეული არის ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებაში, მაგრამ დიპლომატიური წესის თანახმად, სახელმწიფო ამ ინფორმაციას ოფიციალურად არ აცხადებს. სწორედ რომ, არაოფიციალურად გახდა ცნობილი ის ფაქტი, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აკრედიტაცია არ მისცა სომხეთის ახალ ელჩს სერგეი მინასიანს.**

მიზეზი, რატომ უთხრა სომხეთს უარი საქართველოს დიპლომატიურმა უწყებამ ელჩის დანიშვნაზე, ამ დეტალებზე მიხეილ ჯანელიძის უწყებაში ღიად არ საუბრობენ. საგარეო საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, რომ ყოველგვარი სპეკულაცია ამ თემასთან დაკავშირებით არის უადგილო. ამ დრომდე უცნობია ოფიციალური ერევანის პასუხი. ოფიციალური თბილისის უარის შესახებ ინფორმაცია სომხურმა გაზეთმა „ჟამანაკმა“ სომხეთის პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატის შირაკ ტოროსიანზე დაყრდნობით გაავრცელა.

**რაც შეეხება სერგეი მინასიანს, ის არის კავკასიის ინსტიტუტის (ერევანი) დირექტორის მოადგილე. არსებული ინფორმაციით, მას მჭიდრო კავშირები აქვს ორგანიზაცია „ჯავახკთან“. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია რამდენიმე სტატია, სადაც ჯავახეთის საკითხის მოგვარებაში რუსეთის მონაწილეობას ითხოვდა. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, სწორედ ამ მიზეზით საქართველოს ხელისუფლება შიშობს, რომ**



**მინასიანი სომხეთის ინტერესების ნაცვლად რუსულ ინტერესებს გაატარებდა.**

აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო „haqqin.az“-ის ინფორმაციით, ერევანი მინასიანის დანიშვნით სამცხე-ჯავახეთში სომხური სეპარატიზმის გააქტიურებას ცდილობდა. წარმოშობით ახალქალაქელი მინასიანი ჯავახეთის სეპარატიზმის მიმართ თავის სიმპათიებს არასდროს მალავდა. კერძოდ, სააგენტოს ცნობით, 2005 წელს სერგეი მინასიანი იყო იმ ჯავახ სეპარატისტთა შორის, რომლებიც ჯავახეთის საკითხის მოსაგვარებლად რუსეთის სამხედრო ჩარევას ითხოვდა.

აზერბაიჯანული მედიასაშუალება მინასიანის წინაშე მდგარ დავალებად საქართველოს ტერიტორიის გავლით, სომხეთის მიერ სატრანზიტო ბლოკადის გარღვევას ასახელებს. საუბარია სატრანზიტო გზის გახსნაზე ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გავლით.

**საქართველოში სომხეთის ელჩად სერგეი მინასიანის შესაძლო დანიშვნას, ოფიციალური ერევნის პროვოკაციულ ნაბიჯს უწოდებენ ექსპერტები, რომელთა შეფასებით, მინასიანი, რომელიც სამცხე-ჯავახეთში სეპარატიზმს მხარს ოფიციალურად უჭერდა, და ასევე, რეგიონის პრობლემის მოსაგვარებლად რუსეთის სამხედრო ჩარევას ითხოვდა, ოფიციალური ერევნის მხრიდან მისი საქართველოში ელჩად დანიშვნა, საკმაოდ უსიამოვნო და არაპოლიტკორექტული ნაბიჯი იყო.**

პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარი **თამარ კიკნაძე** არ გამორიცხავს, რომ მინასიანის კანდიდატურის უკან რუსეთის ინტერესები იდგეს.


იხ. 2 გვ.

# მმართველი გუნდი პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად ემზადება, რიგგარეშე სხდომა 13 ოქტომბერს გაიმართება

**კონსტიტუციის ახალ პროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების განსახილველად პარლამენტი რიგგარეშე სხდომაზე შეკრებას 13 ოქტომბერს გეგმავს. მანამდე „ქართული ოცნება“ სხდომის ჩანიშვნისთვის პრეზიდენტს მიმართავს. რეგლამენტის მიხედვით, დეპუტატებმა პრეზიდენტის შენიშვნები ან სრულად უნდა გაიზიარონ ან ვეტო დაძლიონ.**



მმართველ გუნდში ამბობენ, რომ დიდი ალბათობით ვეტო დაიძლევა, რის შემდეგაც, სავარაუდოდ, არჩევნების შემდეგ, კანონმდებლები ახალ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ინიციატივას დაარეგისტრირებენ. მასში გათვალისწინებული იქნება ე.წ. ბონუსების გაუქმება და საარჩევნო ბლოკების ერთჯერადად დაშვება.

**„ჩვენ, სავარაუდოდ, დავძლევთ ამ ვეტოს, უბრალოდ კარგი იყო, რომ ეს ჩვენი შეთავაზება, რომელიც გაჟღერდა პრეზიდენტთან, გათვალისწინებული ყოფილიყო. ჩვენ ვაპირებთ, რომ დავარეგისტრიროთ ახალი საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივა და ამ პროცედურებსაც უმოკლეს ვადაში გავივლით, ამაზე გვაქვს გუნდში შიგნით შეთანხმება,“** — განაცხადა თამარ ხულორდავამ.

# საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პოზიცია

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მისიების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, საკონსტიტუციო ცვლილებებზე ასეთ განცხადებას ავრცელებს.

**„ევროკავშირმა წლის დასაწყისშივე გამოთქვა მოლოდინი, რომ საქართველოს კონსტიტუციაში საფუძვლიანი შესწორებების შეტანა ფართომასშტაბიანი და ყოვლისმომცველი კონსულტაციების საფუძველზე წარიმართებოდა და განამტკიცებდა დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას. ჩვენ მივესალმეთ საქართველოს პარლამენტის მტკიცე განზრახვას ვენეციის კომისიასთან კონსულტაციების გამართვისა და მისი რეკომენდაციების კონსტიტუციაში სრულად ასახვის შესახებ.**

**ევროკავშირის წარმომადგენლობა იზიარებს ვენეციის კომისიის გამოქვეყნებულ დასკვნას, რომელიც დადებითად აფასებს საკონსტიტუციო რეფორმას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს რეფორმა დაასრულებს საპარლამენტო სისტემაზე გადასვლის პროცესს.**

**მიუხედავად ზემოთქმულისა, გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ვენეციის კომისია წუხილს გამოთქვამს პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღების გადავადებასთან დაკავშირებით. ასევე, კომისია გამოთქვამს რამდენიმე კონკრეტულ რეკომენდაციას რელიგიის თავისუფლების საკითხზე და მართლმსაჯულების სფეროში.**

**რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობას, ოპოზიციურ ძალებსა და პროცესის სხვა მონაწილეებს შორის პოლიტიკურ კონსულტაციებს, ევროკავშირის წარმომადგენლობა წუხილს გამოთქვამს, რომ კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის საკითხზე უფრო ფართო კონსენსუსის მიღწევის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა სათანადოდ არ იქნა გამოყენებული.**

**ვენეციის კომისიის დასკვნის გათვალისწინებით გამოვთქვამთ რწმენას, რომ საპარლამენტო უმრავლესობა ერთგული დარჩება თავისი განზრახვისა, დაუშვას საარჩევნო ბლოკების შექმნა და შემოიღებს საპროცენტიან ბარიერს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის; ასევე, გააუქმებს ბონუსს გამარჯვებული პარტიისთვის მას შემდეგ, რაც სრულად იქნება შემოღებული პროპორციული საარჩევნო სისტემა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. ევროკავშირის წარმომადგენლობა მოუწოდებს ყველა შესაბამის პოლიტიკურ მოთამაშეს, გააგრძელონ ერთად მუშაობა ახალი კონსტიტუციის მიღების პროცესის დასასრულებლად“,** — წერია განცხადებაში.

# სოფლის გაძლიერება ეკონომიკის განვითარების ძირითადი წინაპირობაა

**გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) კვლევის — „სახელმწიფო, სურსათი და სოფლის მეურნეობა 2017“ — თანახმად, სოფელს გადამწყვეტი როლი აკისრია, აგრარული სექტორის, საკვები პროდუქტებისა და ამ სფეროსთან დაკავშირებული სხვა სექტორების ეკონომიკურ ზრდაში. აღნიშნული ზრდის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, მეტი ყურადღება დაეთმოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარებას, სადაც მსოფლიო მოსახლეობის ყველაზე ხელმოკლე და გაჭირვებული ნაწილი ცხოვრობს** — ნათქვამია კვლევაში.

კვლევამ აჩვენა, რომ თუ 1960 წელს განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის მხოლოდ 22% (460 მილიონი) ცხოვრობდა ქალაქებში, უახლესი მონაცემებით მოსახლების 49% (3 მილიარდი) ბინადრობს დიდ და პატარა ქალაქებში.

გამოცემაში FAO-ს წევრი ყველა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს შესახებაც არის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, საქართველო ქალაქებსა და სოფლებს შორის თანაფარდობა შემდეგნაირად გადანაწილდა. საქართველოს დიდ და მცირე ქალაქებში მოსახლეობის 54.5% ბინადრობს, ქალაქებიდან მაქსიმუმ სამი საათის სავალზე მდებარე სოფლებში ცხოვრობს მოსახლოების 35.8%, ხოლო სოფლებში, საიდანაც ქალაქამდე დაშორება 3 საათზე მეტია, მოსახლეობის მხოლოდ 9.7 % ბინადრობს.

ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, კვლევა სამ ძირითად მიმართულებას გამოყოფს: პირველი — იგი გულისხმობს სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის იმგვარად წარმართვას, რომ მცირე მეწარმეებს დიდ ბაზრებზე საკუთარი პროდუქციის მიწოდების საშუალება მიეცეთ. მცირე მეწარმეებისთვის უნდა გაუმჯობესდეს საკრედიტო პირობები და სახელმწიფომ სამართლებრივი წესით უნდა დაიცვას მცირე მეწარმეების საკუთრების უფლება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მცირე მეწარმეები კონკურენტებთან თანაბარ, საკონკურენციო პირობებში იყვნენ წარმოდგენილი.



მეორე მიმართულებას წარმოადგენს: შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექნა, სოფლების დაკავშირება დიდ საბაზრო ცენტრებთან. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში საგზაო, ელექტრო თუ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არარსებობა მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის სასოფლო სამეურნეო და სასურსათო პროდუქტების საბაზრო ცენტრებამდე მიწოდებისთვის.

მესამე მიმართულება გულისხმობს, არამხოლოდ დიდი და კარგად განვითარებული ქალაქების და სასოფლო ცენტრების ერთმანეთთან ინტეგრირებას, არამედ დიდი ქალაქებისა და ნაკლებად განვითარებული ცენტრების ერთმანეთთან დაკავშირებას. კვლევის თანახმად, მცირე საქალაქო ცენტრებს, სასურსათო ნაწარმით ვაჭრობისთვის საჭირო, დიდი პოტენციალი აქვს.

# ფრთხილად, თბილისის უარი ერევანს

(პირველი გვერდიდან)

**„სომხეთი არის რუსეთის გამოკვეთილი პარტნიორი, სატელიტი. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთი იყოს ამ კანდიდატით დაინტერესებული. მით უმეტეს, რომ რუსეთში არიან ანტიქართული ძალები. ამიტომ, თუ ჩვენ ამ მინასიანზე და საქართველოს უსაფრთხოებაზე ვლაპარაკობთ, საქართველოს წინაშე მართლაც ძალიან ბევრი საფრთხეა და მათ შორის ეს რეგიონი.**

**ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოში ძალიან ბევრი ბომბი დევს იმისთვის, რომ შესაბამის დროს იქნას აფეთქებული. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლება უნდა იყოს ძალიან ფრთხილად, ძალიან ფხიზლად. აბსოლუტურად სწორი და ადეკვატური იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია“,** — აცხადებს თამარ კიკნაძე.



როგორც პოლიტოლოგი for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს მიმართ ყველა ქვეყანას თავისი ინტერესი აქვს. მათ შორის, რუსეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს და თურქეთს. მისი თქმით, ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკა, როდესაც ქვეყნები თავის ეროვნულ ინტერესებს ახორციელებენ.

**„საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, საქართველომ მკვეთრად პროდასავლური კურსი აიღო. რუსეთთან კონფრონტაციის ხარჯზე და განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, საქართველოს ფუნქცია იყო რუსეთის გაღიზიანება. მაგრამ სააკაშვილის ეს ქმედებები საქართველოსთვის ძალიან ცუდად დამთავრდა. სააკაშვილმა ითამაშა რუსული თამაში და ყველა ის სურვილი შეუსრულა რუსეთს, რაც უნდოდა.**

**არავისთვის არ არის დამალული, რომ სამცხე-ჯავახეთში რუსეთს, ისევე როგორც სომხეთს, თავისი ინტერესები აქვთ. სამწუხაროდ, ისინი ძალიან აქტიურად მუშაობენ. მაგალითად, ამ რეგიონში უმაღლეს სასაწავლებლებში სწავლა სომხურ ენაზე მიმდინარეობს. სპეციალურად ერევნიდან ჩამოდიან ლექტორები. სამწუხაროდ, წარმატებით არ ხდება ამ რეგიონის საქართველოსთვის ინტეგრაციის პროცესი. ეს ძალიან სერიოზული პრობლემა არის“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას თამარ კიკნაძემ.

სერგეი მინასიანის კანდიდატურის მიმართ რუსეთის დაინტერესებას არ გამორიცხავს „ანალიტიკური საბჭოს“ მკვლევარი, ექსპერტი **ზურაბ აგლაძე,** რომლის განცხადებით, რუსეთს საკმაოდ ძლიერი პოზიციები აქვს სომხეთში, მაგრამ, მისი თქმით, ერთმნიშვნელოვნად მტკიცებულების გარეშე რთულია იმის თქმა, იდგა თუ არა მინასიანის კანდიდატურის უკან რუსეთი.

**„ფაქტი ის არის, რომ ქართულმა მხარემ თქვა უარი. ეს არის ძალიან კარგი. ყველა უნდა მიეჩვიოს და გაითვალისწინოს ის, რომ ქართულმა სახელმწიფომ, ჩვენმა მთავრობამ ისეთი პოლიტიკა უნდა გაატაროს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის არის აუცილებელი. თუ რამე საფრთხეს ხედავდნენ ამ ადამიანის დანიშვნით, უნდა გადაედგათ შესაბამისი ნაბიჯი. ძალიან კარგია, რომ ეს ნაბიჯი გადადგეს და აუცილებელიც იყო. მოეწონება თუ არა ეს რუსულ მხარეს და რა რეაქცია ექნება სომხურ მხარეს, ამ შემთხვევაში ჩვენ ჩვენი არგუმენტები გაქვს“,** — ამბობს ზურაბ აგლაძე.

„ანალიტიკური საბჭოს“ მკვლევარი დარწმუნებულია, რომ ოფიციალური თბილისის უარი გავლენას არ მოახდენს ქართულ-სომხურ ურთიერთობებზე.

„სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის“ ხელმძღვანელი **მამუკა არეშიძე** აცხადებს, რომ სერგეი მინასიანი არ არის კადრის კარიერული დიპლომატი, ის არის ექსპერტი, რომელიც კარგად იცნობს რეგიონს. როგორც არეშიძე აცხადებს, რთული სათქმელია რატომ თქვა საქართველომ უარი მის კანდიდატურაზე.

**„მგონია, რომ რაღაცა სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე, რასთან, ვერ გეტყვით. არსებობს გავრცელებული ინფორმაცია, რომ მინასიანმა რამდენიმეჯერ ჯავახეთთან დაკავშირებით, რბილად რომ ვთქვათ, გაუფრთხილებელი განცხადება გააკეთა. კერძოდ, ჯავახეთის საკითხს საქართველო ვერ გადაწყვეტს რუსეთთან შეთანხმების გარეშე. ეს ინფორმაცია აზერბაიჯანულმა პრესამ გაავრცელა.**

**მე თვითონ ეს დოკუმენტი არ მინახავს. არცერთ ქართველ ექსპერტს არა აქვს ნანახი. ნამდვილი მიზეზი რთული დასადგენია, გარდა იმისა, რომ კარგად იცნობს რეგიონს და ნაციონალისტურად განწყობილ ექსპერტად ითვლება, კარგად იცნობს თურქეთს, თურქეთის პოლიტიკაზეც მუშაობს. არ გამოვრიცხავ, რომ აქაც იყოს გარკვეული შეკითხვები მის მიმართ“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას მამუკა არეშიძემ.

**თამთა ქარჩავა**

# ქვების სროლა კუმურდოში!

**სომეხთა სამოციქულო ეკლესიის განცხადებას, რომ მე-10 საუკუნის უმშვენიერესი ტაძარი კუმურდო, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია და სომხეთის ეკლესიას მასზე პრეტენზია არა აქვს, საქართველოს სომხურ თემში, საკუთრივ სომხეთში და რუსეთში ჯავახეთის დიასპორაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა.**

**სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიამ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი სამცხე-ჯავახეთში, ბოლო წლების ყველაზე საშიში ინციდენტის შემდეგ გადადგა.**

30 სექტემბერს, კუმურდოს ტაძართან, სადაც 2016 წლიდან რესტავრატორები მუშაობენ, სომხური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებსა და პოლიციას შორის სახიფათო შეტაკება მოხდა. დაპირისპირების დროს ექვსი პოლიციელი და სოფელ კუმურდოს ექვსი მკვიდრი დაშავდა.

მწვავე კონფლიქტი კუმურდოს მცხოვრებთა ნაწილის მცდელობას მოჰყვა, რესტავრაციის დროს ნანახი ადამიანთა ძვლები, ისევ კუმურდოს ტაძრის ეზოში დაემარხათ და ზედ სომხური ხაჩქარი – ქვა ჯვარი აღემართათ. სახელმწიფოსთან შეუთანხმებელი ეს განზრახვა შსს-ის სპეციალურ რაზმთან დაპირისპირებით, ქვების სროლით, პოლიციისა და სასულიერო პირების ავტომობილების დალეწვით დასრულდა.




სომხური ისტორიოგრაფია ათწლეულების მანძილზე ამტკიცებდა, რომ კუმურდო ცალსახად სომხური ძეგლია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა „სომხური არქიტექტურის შესწავლის ფონდის“ ერევნის ფილიალის ხელმძღვანელი, ისტორიკოსი სამველ კარაპეტიანი.


კუმურდო – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ჯავახეთში

კარაპეტიანი რამდენიმე ნაშრომის ავტორია, რომლებიც ქართველ მეცნიერთა აზრით, კრიტიკას ვერ უძლებს. ოფიციალურმა თბილისმა სომეხი ისტორიკოსის მოღვაწეობაში „რელიგიური და ეთნიკური შუღლის“ გაღვივების მცდელობაც დაინახა და 2015 წლიდან მას საქართველოში შემოსვლა აუკრძალა.

ამის მიუხედავად, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ოფიციალურ ვებსაიტზე, ბოლო დრომდე, კუმურდოს ტაძარი სომხურ ძეგლად, სწორედ კარაპეტიანის ნაშრომებზე დაყრდნობით იყო გამოცხადებული. 30 სექტემბრის ინციდენტიდან რამდენიმე დღეში, სომეხთა ეკლესიამ საკუთარი საიტიდან ეს ინფორმაცია მოხსნა (ინგლისურ და რუსულ ენებზე ინფორმაცია ინტერნეტში მაინც იძებნება – **ზ. წ.**).

**ვაზგენ მირზაჰანიანმა, რომელიც უკვე 15 წელია, სომეხთა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღვარია, გუშინ სომხურ გამოცემა hetq-ს განუცხადა, რომ „ისტორიულად დიდი ხანია, დამტკიცებულია, რომ კუმურდო ქართული ტაძარია და არავის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ის სომხურია.“**

მირზაჰანიანს არ განუმარტავს ეპარქიის ოფიციალურ გვერდზე, წლების მანძილზე, კუმურდო რატომ მოიხსენიებოდა სომეხი ქალკედონიტების ძეგლად, რომელთა სამეტყველო ენად მე-10-13 საუკუნეებში, ისტორიკოსი კარაპეტიანი ქართულ ენას მიიჩნევს და სწორედ ამით „ხსნის,“ კუმურდოს (ასევე ახტალის, ქობაირის, ჰუჯაბის, კირანცის, სედვის, ოსკიპარის, თეჟარუიქის და შაჰნაზირის) ტაძარზე ქართული ლაპიდარული წარწერების არსებობას.

„ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსის“ ავტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლია ახალაძე, რომელმაც ეს მნიშვნელოვანი ნაშრომი 2012 წელს, სწორედ კარაპეტიანის ნაშრომების საპასუხოდ გამოსცა, ამბობს:

**„ცნობილი ქართველი გეოგრაფი და ანთროპოლოგი ალექსანდრე ჯავახიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კუმურდოში ტაძარი გაცილებით ადრეც ყოფილა, ვიდრე 964 წელს. ქართველი ხუროთმოძღვარი საკოცარი აფხაზთა მეფის ლეონ მესამის ბრძანებით იქ საძირკველს დადებდა. მაგრამ**


ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

**ადრინდელი ტაძარი, როგორც ჩანს დაინგრა და კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრალს, მე-10 საუკუნის 50-60-იან წლებში ახალი საყდარი აუგეს.**

**საინტერესოა, რომ კუმურდოს 964 წლის წარწერების ჯგუფში, იოანე ეპისკოპოსზე წარწერაც ერთიანდება, რომელსაც სამველ კარაპეტიანი რატომღაც სომხური მონოფიზიტური ეკლესიის ეპისკოპოსად მიიჩნევს.**

**მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს მოსაზრება კრიტიკას ვერ უძლებს, რამდენადაც დასავლეთ საქართველოში ლეონ მესამე აფხაზთა მეფის ზეობის დროს მაშინ, როცა კუმურდო საეპისკოპოსო საყდარს წარმოადგენს, შეუძლებელია კუმურდოელ ეპისკოპოსად მონოფიზიტი მჯდარიყო და მით უმეტეს, ამ ტაძრის ამშენებელი ყოფილიყო, ეს არის გამორიცხული.“**

კუმურდოს – შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული ძეგლის ჰარმონიულობას, მხატვრულ გააზრებას, პროპორციებს, ჩუქურთმებს, სიმბოლოებს, რელიეფურ ქანდაკებებსა და მოვარდისფრო ქვაზე ამოკვეთილ ეპიგრაფიკას მნახველი დღემდე აღტაცებაში მოჰყავს.

ეს იმის მიუხედავად, რომ საუკუნეების მანძილზე მივიწყებული კათედრალი უმძიმეს მდგომარეობაშია, მთლიანად ჩამოქცეულია გუმბათი, სტოა, ძლიერ დაზიანებულია და უხეშად არის აღდგენილი დასავლეთის მკლავი. კუმურდოს ბოლო გადაუდებელი რესტავრაცია 1975 წელს დაიწყო და გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა.

ამ პერიოდში, კუმურდოს უკვე „სადავო ტაძრის“ სტატუსი „ჰქონდა“. ეს ერთი მხრივ, სამცხე-ჯავახეთში სომხური თემის გაძლიერებამ (1828 წლიდან, ოსმალეთის იმპერიიდან სომეხთა მასობრივმა გადმოსახლებამ – **ზ.წ.**), საბჭოთა სომხეთის ისტორიოგრაფიის „ჯავახკის მიმართულებამ“ და მეორე მხრივ, ქართველი კომუნისტების დაუდევრობამ და ახალქალაქის რაიონის ჩაკეტილობამ გამოიწვია. თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში, საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებული სასაზღვრო რეჟიმი მოქმედებდა და იქ შესვლა მხოლოდ სპეციალური საშვებით იყო შესაძლებელი.

**80-იანი წლების ბოლოდან, სომხურ ისტორიოგრაფიაზე აღზრდილი არაერთი თაობა, როგორც ჯავახეთში, ისე კონკრეტულად კუმურდოში, ქართველი მეცნიერების, არქეოლოგების, სტუდენტების და სასულიერო პირების ყველა მცდელობას, შეესწავლათ ან მოელოცათ კუმურდო, ხაზგასმული აგრესიით ხვდებოდა. 2001 წელს კუმურდოს მონახულება ვერც კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ შეძლო, რომელსაც ფოკაში ქვები დაუშინეს.**

2015 წლიდან ვითარება შედარებით დათბა, კუმურდოს ტაძრის გადარჩენაზე შეთანხმება მოხერხდა. 2016 წლიდან ტაძრის რესტავრაცია დაიწყო. 2017 წლის აპრილში, სოფელ კუმურდოში სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ახალი ტაძარი „სუბრ ხაჩიც“ კი ეკურთხა, თუმცა 30 სექტემბერს, კუმურდოში ქვის სროლის მორიგი, საშიში ეპიზოდი ისევ განმეორდა.

დღეს სომეხთა სამოციქულო ეკლესია აცხადებს, რომ კუმურდო ქართული ძეგლია და მასზე პრეტენზია არა აქვს. **„ნებისმიერი სახის ძალადობა მიუღებელია და პროვოკაცია – დაუშვებელი“** – ვკითხულობთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ერთობლივ განცხადებაში.

ეს განცხადება უკვე გააკრიტიკეს „საქართველოს სომეხთა სათვისტომომ“, ჯავახეთის სომხურმა დიასპორამ რუსეთში და ერევნიდან ისტორიკოსმა სამველ კარაპეტიანმა, რომელმაც კერძოდ თქვა:

**„განსაკუთრებით გაურკვეველია საქართველოს სომხური თემის ქცევა, რომელიც ფაქტობრივად უარს ამბობს სომხურ სოფელში მდებარე ეკლესიაზე, რომელიც როგორც სომხური სამოციქულო ეკლესია, იმ სოფლის მრევლს საუკუნეები ემსახურებოდა და თავისთავად სომხური ეკლესიის ისტორიის ნაწილია.“**

**სომეხთა სამოციქულო ეკლესია არ მალავს, რომ კუმურდოს ტაძრის კუთვნილების საკითხში უკან დახევა ვითარების განმუხტვასთან ერთად, ტაქტიკური ნაბიჯია, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან სხვა სადავო ეკლესიებზე შეთანხმების მიზნით.**

სომეხთა ეკლესია საქართველოს ტერიტორიაზე 442 ეკლესიისა და ნაეკლესიარის დაბრუნებას ითხოვს. მათ შორის არის თბილისში მდებარე – „სურბ ნორაშენ ასტვაწაწინი,“ „სურბ ნშანი,“ „მუღნეცოც სურბ გევორგი,“ „ერევანცოც სურბ მინასი,“ „შამხორეცოც კარმირ ავეტარანი“ და ახალციხის „სურბ ნშანი.“ აქედან უმძიმეს მდგომარეობაშია, შამქორიდან მე-19 საუკუნეში გადმოსახლებული სომხების მიერ ავლაბარში აშენებული „შამქორეცის ეკლესია,“ რომელიც ჩვენს თვალწინ სამარცხვინოდ ნადგურდება.

**თავის მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე ტაძრებზე აქვს პრეტენზია, რომელთა შორის გამორჩეულია – ახტალის მონასტერი, ქობაირი, ძელი ჭეშმარიტისა (ჰნევანქი) და ჰუჯაბი.**

**საეკლესიო დავების დარეგულირება, წესით, ორი ქვეყნის დიპლომატებმა უნდა უზრუნველყონ, თუმცა მეხუთე თვეა ამ მიმართულებითაც პრობლემებია. საქართველო სომხეთის ახლად დანიშნულ ელჩს სერგეი მინასიანს აგრემანს და აკრედიტაციას არ აძლევს. ეს საკითხიც ჯავახეთთან არის კავშირში, ვინაიდან მინასიანს ჯავახური წარმოშობა აქვს და ერევნის საექსპერტო კლუბ „კავკასიის ინსტიტუტში“ მოღვაწეობისას, ჯავახეთისთვის ფართო ავტონომიის მოთხოვნით გამოდიოდა.**

**ზაზა წულაძე,**
„ამერიკის ხმა“


კუმურდოს ქართული ლაპიდარული წარწერები



# 21 ოქტომბერს არ უნდა ველოდოთ ცეცხლოვან პოლიტიკურ სანახაობას

ფილოსოფოსი **ზაზა ფირალიშვილი** ამბობს, რომ თუ კალაქე თბილისის მართვის ძველ პარადიგმებს განაგრძობს და განსხვავებული ტიპის ენერგიულ და შემოქმედ ლიდერად ვერ შემოგვთავაზებს თავს, ეს მისთვის პოლიტიკური დასასრულის ტოლფასი იქნება, რაც მძიმე გავლენას იქონიებს „ოცნების" შემდგომ პოლიტიკურ ბედზეც. ამდენად, როგორც ფირალიშვილი აცხადებს, კალაძის როლი არ იქნება მხოლოდ ქალაქის მერის როლი.

**ზაზა ფირალიშვილი** დღეს „საქართველოს რესპუბლიკის" სტუმარია.

**— სულ მალე ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდება. პარტიები აქტიურ საარჩევნო კამპანიას ატარებენ, მაგრამ 2016 წლის არჩევნებისგან განსხვავებით, 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებს თითქოსდა აკლია აქტიურობა და ის შემართება, რაც წესით, უნდა ჰქონდეს კანდიდატს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ სახელისუფლებო კანდიდატს. კახა კალაძე, ძირითადად, მაინც, უფრო სოციალურ ქსელს ანიჭებს უპირატესობას. როგორ ფიქრობთ, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ სახელისუფლებო კანდიდატს არ ჰყავს რეალური კონკურენტი?**

— ადგილობრივი არჩევნები სხვა ქვეყნებშიც იშვიათადაა ისეთი აქტიური, როგორიც — საპარლამენტო. ჩვენთანაც პოლიტიკური პარტიები უფრო მეტად ძალებს მოსინჯავენ ხოლმე მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის. მეტი დაძაბულობა რეგიონებში გვხდება — იქ, სადაც სამსახურებრივი, სანათესავო თუ მეგობრული კავშირების როლი დიდია. ადგილობრივი არჩევნები საგრძნობლად არ ცვლის ქვეყნის პოლიტიკურ რელიეფს. ეს ზოგადი სურათი შეიძლება შეიცვალოს, ვთქვათ, იმით, რომ მომძლავრებული უკმაყოფილების ფონზე საზოგადოების ყურადღებამ ახალი პოლიტიკური ძალის ან აქტორის მხარეს გადაინაცვლოს.

მოკლედ, ადგილობრივ არჩევნებს არ ახლავს ჩვენთვის ასე ჩვეული რევოლუციური თუ კვაზირევოლუციური ვნებათაღელვა. ამჯერად ამას ისიც ემატება, რომ კანდიდატებს შორის დეფიციტია ისეთი პიროვნებებისა, ნდობის მაღალი ხარისხისა და გადამდები ენერგიის მატარებელი რომ იქნებოდნენ. ერთგვარად გამოირჩევა ელისაშვილი, მაგრამ, ვფიქრობ — არასაკმარისად. ამიტომაც, არ უნდა გაგვიკვირდეს მომავალი არჩევნების პასიური თუ მშვიდი ხასიათი. ასეთ ვითარებებში კახა კალაძე გაიმარჯვებს. თუმცა კი ამგვარი გამარჯვება „ქართული ოცნებისათვის" ბევრი ვერაფრის მომტანი იქნება.

**— რატომ?**

— თუ კალაძე თბილისის მართვის ძველ პარადიგმებს განაგრძობს და განსხვავებული ტიპის ენერგიულ და შემოქმედ ლიდერად ვერ შემოგვთავაზებს თავს, ეს მისთვის პოლიტიკური დასასრულის ტოლფასი იქნება და ეს მძიმე გავლენას იქონიებს „ოცნების" შემდგომ პოლიტიკურ ბედზეც. ამდენად, კალაძის როლი არ იქნება მხოლოდ ქალაქის მერის როლი. ის ენერგია, რაც „ოცნებას" 2012-მა წელმა შესძინა, თვალდათვალ ინავლება. ვერ ვიტყვი, რომ არაფერი კეთდება, პირიქით, მაგრამ ყველაფერი ეს გაუმართავი საინფორმაციო პოლიტიკის გამო ან ყოველდღიურ რუტინაში იკარგება, ან „ნაციონალური მოძრაობის" აგრესიული საინფორმაციო პოლიტიკის წყალობით იმთავითვე რაღაც საეჭვოსა და მიუღებლის ელფერს იძენს. ეს ნამდვილად სამწუხაროა, რადგან საერთო უიმედობის ფონს აძლიერებს და თანაც მაშინ, როდესაც პოლიტიკური ალტერნატივა არ არსებობს.

**— უდუმაშვილი, ხოშტარია, ელისაშვილი, ინაშვილი, კუკავა, შერგელაშვილი, გუგავა — ესენი არიან მმართველი გუნდის კონკურენტები — გამოკვეთლია თუ არა თბილისში ლიდერი კანდიდატი და ეს ლიდერი კანდიდატი იძლევა თუ არა იმის საფუძველს, რომ თბილისში არ იქნება მეორე ტური? და, როგორ ფიქრობთ, ვის შორის იქნება მეორე ტური? გამოკითხვების მიხედვით მეორე ადგილზე გადის უდუმაშვილი. მაგრამ ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ თუკი იქნება მეორე ტური, იქნება სახელისუფლებო კანდიდატსა და დამოუკიდებელ კანდიდატს შორის, რომელსაც არ ჰყავს გუნდი, არა აქვს პროგრამა...**

> **რუსი სტრატეგოსებისთვის ჩვენ ჯერ კიდევ 70-იანი წლების ქართველები ვართ. არადა, მაშინდელი ქართველის გავრცელებული ტიპი, უმალ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი კოლექტიური მიმიკრია იყო, რომელიც კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ბნელ იმპერიაში, ასე თუ ისე, ცხოვრების საშუალებას გვაძლევდა.**

— ვითარება ისეთ ფაზაში შედის, როდესაც ყველა ოპოზიციონერი კანდიდატი უნებლიეთ ალეკო ელისაშვილზე იმუშავებს და მისთვის სასარგებლო განწყობებს შექმნის. უდუმაშვილის შესაძლებლობები განსაზღვრულია. იგი სააკაშვილის ეპოქის პოლიტიკურ პროპაგანდასთან ასოცირდება. მისთვის ძნელია ახალი როლის მორგება. უკეთ შერჩეულის შთაბეჭდილებას ტოვებს „ევროპული საქართველოს" კანდიდატი ქალბატონი ელენე ხოშტარია. არსებობს წრე, რომელიც მას იცნობს, როგორც საქმიან და კვალიფიციურ ადამიანს, მაგრამ მისი ავტორიტეტი, სამწუხაროდ, ამ ჩაკეტილი წრის ფარგლებში რჩება.

რაც შეეხება ელისაშვილს, მართალია, მას არა ჰყავს გამოკვეთილი გუნდი — ყოველ შემთხვევაში, მას ჯერ არ წარმოუდგენია იგი — და ნაკლებად ვიცით მისი პროგრამის შესახებ, უკვე ვთქვი, რომ მას აქვს ის ენერგია და მუხტი, თუ გნებავთ, ის კარგი გაგებით ავანტიურიზმი, რომლითაც ბევრი ამომრჩევლის სიმპათიას იმსახურებს.

**— საინტერესოა, როგორ გადანაწილდება მეორე და მესამე ადგილი, რაც ასევე მნიშვნელოვანია. ფაქტია, რომ „ქართულ ოცნებას" ჰყავს გაბრაზებული ამომრჩეველი და არცთუ ცოტა არის მათი რაოდენობა. როგორ ფიქრობთ, ვის სასარგებლოდ შეიძლება ამ ადამიანების ხმები გადანაწილდეს და რატომ, რა მოტივით გააკეთებს ამომრჩეველი ასეთ არჩევანს, ანუ ამომრჩევლის ეს გადაწყვეტილება ნიშნავს თუ არა, რომ პოლიტიკური სისტემა საქართველოში არის კრიზისში?**

— გაბრაზებული ამომრჩეველიც ელისაშვილის სოციალური ბაზა შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ მისი პოლიტიკური ქცევა დღეს არ იძლევა ამ ბაზის სრულყოფილი ათვისების შესაძლებლობას. თუ საქმე მეორე ტურზე მიდგა, ერთმანეთს, როგორც ჩანს, კალაძე და ელისაშვილი დაუპირისპირდებიან და ამ ბრძოლის მოგება კალაძისათვის არ იქნება იოლი. ელისაშვილი სხვა კანდიდატების ხმების მნიშვნელოვან ნაწილს „შეიწოვს".

მისი მთავარი იმედი საპროტესტო ელექტორატის გააქტიურებაა, მაგრამ, ვიმეორებ, ასეთი საარჩევნო პროგრამით და გარემოცვით მას ეს გაუჭირდება. ამ ეტაპზე მან ვერ შეძლო საპროტესტო განწყობების მობილიზება. ვფიქრობ, ის იქნება კალაძის სერიოზული ოპონენტი, მაგრამ საბოლოო გამარჯვებას ისევ კალაძე მოიპოვებს.

რაც შეეხება კრიზისს, დემოკრატია, რაღაც აზრით, კრიზისის დაშვების შესაძლებლობას ნიშნავს. ასეთი სისტემა არ მალავს იმ მანკიერებებს, რომლებიც ხან აქ იჩენენ თავს და ხან — იქ. სწორედ ესაა მისი მადლიც, რადგან საკუთარი თავის განკურნების შანსს იძლევა. აბსოლუტური აზრით არაკრიზისული დღეს მხოლოდ ჩრდილო კორეის პოლიტიკური სისტემაა და სწორედ ეს ღუპავს მას. მასმედიის ტოტალური კონტროლის მცდელობითა და სოციალური ქსელების წინააღმდეგ დაწყებული კამპანიით, როგორც ჩანს, რუსეთიც აქეთ მიემართება.

**— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამომრჩეველი კრიტიკულად არის განწყობილი „ქართული ოცნების" მიმართ, როგორ ფიქრობთ, აქტიური იქნება ამომრჩეველი? მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართველ ამომრჩეველს ახასიათებს სიზარმაცე, ისევე როგორც თვითმმართველობის არჩევნებს...**

— ამ თემაზე უკვე ვილაპარაკეთ. ადგილობრივი არჩევნები არც ერთ ქვეყანაში არ გამოირჩევა ამომრჩეველთა დიდი აქტიურობით. ასეა ჩვენთანაც. ამიტომაც, არ უნდა ველოდეთ ცეცხლოვან პოლიტიკურ სანახაობას, თუმცა კი არჩევნების შედეგებს ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება პოლიტიკური პროცესების შემდგომი განვითარებისათვის.

ქართველი ამომრჩეველი ინერტულია. პოლიტიკური ინერცია ყველაზე მეტად ადგილობრივ არჩევნებში იგრძნობა ხოლმე. სერიოზული „ნავის დარწევაა" საჭირო საიმისოდ, რომ მომწიფებული განწყობები ელექტორატის პოლიტიკურ გადაწყვეტილებად იქცეს. დღეს ამისი ნიშნები არ ჩანს.

**— ბოლო 3 თვის განმავლობაში უკვე მეორედ ჩავიდნენ რუსეთის დედაქალაქში „პატრიოტთა ალიანსის" წევრები. დაპირისპირებაც კი მოხდა ამ პარტიის წევრებსა და ნინო ბურჯანაძეს შორის, თუ ვინ იქნებოდა გავლენიანი კრემლის კარზე. „პატრიოტთა ალიანსის" წევრები ამბობენ, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში და ფედერაციის საბჭოში ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისაუბრეს. ასეთი ინიციატივაც გაახმაურეს, ვინც მათ ხელს შეუშლის აფხაზეთს და ოსეთს დაბრუნებაში, ყველა გამოცხადდეს როგორც მოღალატედ და ყველაზე სისხლის სამართლის საქმე იყოს აღძრული. გარდა ფინანსურისა, რა არის ამ პარტიის საბოლოო მიზანი, რომელიც რუსული დირექტივებით მუშაობს? არავისთვის არ არის დამალული, რომ რუსეთს თავისი ინტერესები აქვს და სამწუხაროდ, ისინი ძალიან აქტიურად მუშაობენ.**

— ალბათ, ცოტა ვინმე თუ დაიჯერებს, რომ სახელმწიფო დუმაში ვოიაჟებს და იქ გამართულ მოლაპარაკებებს რაიმე რეალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს. რუსმა პოლიტიკოსებმა უკვე არაერთხელ გვამცნეს, რომ ჩვენი შერიგების შემთხვევაშიც კი, არ აპირებენ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას. გვირჩევენ, ახალ რეალობას შევეგუოთ და ისე ვიწამოთ რუსეთთან ურთიერთობის სიკეთისა. მოკლედ, პოლიტიკური ბანდიტიზმის ტიპური ლოგიკაა. აფხაზეთისა და ოსეთის აღიარებამდე რუსოფილურ განწყობებს მეტი საფუძველი ჰქონდა თუნდაც იმ მიზეზით, რომ რუსები მათ წიაღში მიბრუნების ნაცვლად ტერიტორიების დაბრუნებას გვპირდებოდნენ. ახლა ამასაც არ გვპირდებიან.

ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ჩვენ კი არ გველაპარაკებიან, არამედ ერთგვარ კარიკატურულ ქართველს, რომელსაც ჭკუის ნატამალი არ გააჩნია და რომლის გაბითურებაც ქებითა და სტალინის ხშირი ხსენებით იოლია. მეორე მხრივ, რუსულ პოლიტიკას აწყობს, რომ აქ, ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში, მით უმეტეს, პარლამენტში არსებობდნენ ძალები, ვინც მათთან დაახლოების წყურვილს გააჟღერებს და ვისთვისაც ამ ბანდიტურ ლოგიკაში „რაციონალური მარცვალი" შეიძლება მოიძებნოს.

როგორ მძიმე ფსიქოლოგიურ კვალადაც არ უნდა მოგვყვებოდეს იმპერიაში გატარებული ორი საუკუნე და, განსაკუთრებით, ბოლო ათწლეულები, ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთმა განწყობებმა ოდესმე გაიმარჯვოს. რუსი სტრატეგოსებისთვის ჩვენ ჯერ კიდევ 70-იანი წლების ქართველები ვართ. არადა, მაშინდელი ქართველის გავრცელებული ტიპი, უმალ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი კოლექტიური მიმიკრია იყო, რომელიც კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ბნელ იმპერიაში, ასე თუ ისე, ცხოვრების საშუალებას გვაძლევდა.

რუსებს უჭირთ, დაიჯერონ, რომ საქმე აღარ აქვთ ამგვარ ფსიქოკულტურულ ტიპთან და თავის სტრატეგიას აგებენ იმაზე, ვინც აღარ არსებობს. ასეთია კოლონიზატორის ლოგიკა. მას ურჩევნია, წარმოიდგინოს, რომ მისი ყოფილი კოლონიის მოსახლეობა მარტივი, ეგზოტიკური არსებებისგან შედგება და მასთან სერიოზული ლაპარაკი არც ღირს. მთავარია, კრემლის სცენაზე, თუ მათთან ყოველდღიურ ურთიერთობაში, ფსევდოეროვნული წარმოდგენების გამართვის საშუალება მოგვეცეს. ამით ისინი იმთავითვე უარყოფენ ჩვენთან რაიმე სერიოზული დიალოგის შესაძლებლობას. თქვენს მიერ ნახსენები აქტორების მეშვეობით კი ამგვარი დიალოგის იმიტირებას ახდენენ. ადრე თუ გვიან, მოუწევთ დარწმუნება, რომ ჩვენთან უკვე სხვა ენაზეა საჭირო საუბარი.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

# რუსოფობია დამღუპველია ქვეყნისთვის



**რამდენიმე თვის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ჩემთვის და საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანის, ვინმე ბოკუჩავას წერილი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თაობაზე, უფრო სწორად იმ „მზაკვრობის" შესახებ, რასაც რუსეთი, შემდეგ საბჭოთა კავშირი და ისევ რუსეთი სჩადიოდა და სჩადის საქართველოს წინააღმდეგ.**

წერილის გაცნობისთანავე დამებადა აზრი პასუხი გამეცა პოლიტოლოგიისა და ჟურნალისტური წრეებისთვის უცნობი პირის ერთობ უსუსურ გამოხდომაზე მეზობელი ქვეყნის მიმართ — უხვად გაზავებული ისტორიული მომენტების ფალსიფიკაციით — ღვარძლით და სიძულვილით.

რუსეთის მიმართ სიძულვილით გაჟღენთილი სტატიების ან სატელევიზიო გამოსვლების სიუხვეს ისე ვართ მიჩვეული, არაფრად ვაგდებთ და „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის" მსგავსად აღვიქვამთ. არადა, ვისაც სამშობლო უყვარს, ვალდებულია, პატივი სცეს მეზობლებს, განსაკუთრებით იმათ, ვისთანაც მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები და ნათესაური კავშირებიც გაქვს. გარდა ამისა, ჩავთვალე, რომ ვინმე წაიკითხავდა ბოკუჩავას ნახელავს, განსაკუთრებით ახალგაზრდა და ისედაც ანტირუსული პროპაგანდით გონდაბინდულს, ბოკუჩავას ჭორის დონეზე განხილული საქართველო-რუსეთის ურთიერთობაც შავი ლოდივით დაემატებოდა.

ჩემს წერილში აღვნიშნე, რომ ბოკუჩავას „შემოქმედება" არა მარტო პირადად მას სჭრიდა თავს, როგორც უვიცს და დაუნახავს, არამედ ქვეყანასაც. ბოკუჩავას „შემოქმედების" პირველ „ფოლიანტს"არ შევეხები, ვინაიდან ავტორი უდავოდ არ არის ისტორიასა და პოლიტოლოგიაში ჩახედული, რომ მის მიერ დაწერილი აბრაკადაბრათი შევაწუხო მკითხველი, მაგრამ „შედევრის" ერთ მონაკვეთს, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მოვიყვან. ავტორი გვახსენებს, თუ როგორ ჩამოდიოდნენ (ჩამოეთრეოდნენ) საქართველოში რუსი პოეტები, მწერლები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები; როგორ ვაპურმარილებდით, ვასმევდით და ვაჭმევდით მათ. ისინი კი, მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, გვლანძღავდნენ და გვაგინებდნენ.

ნეტავ რომელი „უმადური" რუსი ჰყავს მხედველობაში?

ფართო საზოგადოებისთვის მათი სახელების და გვარების დასახელება არის საჭირო და არა ყველას ერთ ტაფაში მოქცევა. თუ მას ასტაფიევი ჰყავს მხედველობაში, მოგახსენებთ. ასტაფიევმა თავის „Ловля пескарей в Грузии"-ში სინანულით აღწერა ერთ დროს რაინდობითა და გმირობით გამორჩეული ქართველის თანამედროვე, გადაგვარებული პორტრეტი. მაშინ ამ ამბავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია საქართველოში, განსაკუთრებით ქართველ მწერლებში, ვინაიდან მიიჩნიეს, რომ ასტაფიევი ღვარძლითა და სიძულვილით წერდა ქართველთა შესახებ.

არადა, ის, რაც მან დაწერა, იყო სინანული და რჩევა გამოფხიზლებისა. მას შემდეგ პოლიტიკური სისტემაც შეიცვალა და ბევრი სხვაც, შევიცვალეთ ჩვენც და, სამწუხაროდ, სწორედ ასტაფიევის ნაწერის იმ ნეგატიურ პერსონაჟებს დავემსგავსეთ. „ჩამოეთრეოდნენ და ვაჭმევდით", რასაც ხაზს უსვამს ავტორი, უკბილო არგუმენტია რუსის გასაშავებლად, მისი „უმადურობის" გამოსააშკარავებლად.

ჩემს პასუხში აღვნიშნე, რომ ბოკუჩავას ნაწერი სტუმრისთვის პურმარილის დამადლების აშკარა დემონსტრაციაა, რაც ჩირქს სცხებს არა მარტო მას, არამედ სახელგანთქმულ ქართულ მასპინძლობას. ბოკუჩავასა და მისთანების გასაგონად ვამბობ — საქართველოში სტუმრად ჩამოსული მოსკოველი, საკუთარი სამშობლოს, ანუ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ კუთხეში ჩამოდიოდა, სადაც მას მუდამ ეგულებოდა სულიერი სავანე, არაბოკუჩავასნაირ მასპინძლებთან შეხვედრა.

ვიმეორებ, აქ სულიერი საზრდოს მიღება უფრო ხიბლავდა, ვიდრე ღვინის და პურმარილის. მოსკოველი არა მარტო თბილისში ჩამოდიოდა, არამედ ბაქოში, ერევანში, ტაშკენტში, სხვაგან და იქაც უპურმარილოდ არვინ ტოვებდა. მიუხედავად ამისა, ჩვენთან „ჩამოთრევას" (ბოკუჩავას მიერ გამოყენებული ტერმინი), სხვა ხიბლი ჰქონდა, რომელიც გადადიოდა პრაქტიკულ საქმეში — ქართველი მწერლების რუსულ ენაზე თარგმნა და გამოცემა რომ ჰქვია. სწორედ ამ გზით გაიცნო დასავლეთმა ქართული მწერლობა. გარდა ამისა, მინდა დავსვა კითხვა — აქ „ჩამოთრეული" ხელოვნებისა და კულტურის რუსი მოღვაწეები ვისი ხარჯით ჭამდნენ?

თავიანთი ხარჯით, ვინაიდან ის, რაც საქართველოს ბიუჯეტში იყო, ცენტრის მიერ იყო განაწილებული, ანუ მის მიერ უკან დაბრუნებული ქართველი ერის ნალვაწზე ორჯერ მეტი. მაგრამ, როგორც ჩანს, ბოკუჩავამ ეს არ იცის და არა მარტო ეს, სხვა მნიშვნელოვანიც, ვინაიდან (როგორც მოგვიანებით მითხრეს) ის წარუმატებელი მათემატიკოსია და ისტორია-პოლიტოლოგია-ჟურნალისტიკასთან არავითარი შეხება არ ჰქონია 75 წლის განმავლობაში (ხანდაზმული ასაკიც მოგვიანებით გავიგე). გამიკვირდა, ვინაიდან ამ ასაკის ადამიანი თავს უფლებას არ უნდა აძლევდეს ქუჩის ჭორებით მიიპყროს მკითხველის ყურადღება.

ჩემს საპასუხო წერილს უმალ მოჰყვა შეურაცხყოფების კორიანტელი, ლანძღვა-გინება, რომელიც გამუდმებით იბეჭდებოდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში". მე ყველა მისი სტატია უპასუხოდ დავტოვე, ვინაიდან ჩავთვალე, რომ ეს ადამიანი, ლანძღვა-გინებისა და ცილისწამების უბადლო ოსტატი, ჩემს ნაწერს ვერაფრით ჩათვლიდა ობიექტურად. მისთვის დავით მხეიძე, უშანგი ჯანგირაშვილი და ჰამლეტ ჭიპაშვილი მუდამ ვიქნებოდით „დაქირავებულები", „აგენტები", „რუსეთის უკანალში მსხდომები", მდარე ხარისხის პოლიტოლოგები და ჟურნალისტები.

თუ წინა წერილებში ჩვენი „დამქირავებელი" ვირტუალური რუსეთი იყო, 21 სექტემბრის სტატიაში პირდაპირ ომარ მარგველაშვილს ადებს ხელს, როგორც ჩვენს დამქირავებელს. ბატონ ომარს არა მარტო ჩვენი „დაქირავება" აკმარა, არამედ უხეში, შეურაცხმყოფელი სიტყვებითაც გამოლანძღა — თანაკლასელი, ლამის მეგობარი.

ბატონ ომარს, რომელსაც სულ ახლახან დაბადების დღე (75 წლისთავი) გადაუხდია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ასევე თანაკლასელი გიორგი კვესიტაძე უძღვნის წერილს, სადაც დეტალურად აღწერს ბატონი ომარის მიერ განვლილ გზას, უდავოდ დასაფასებელს და საინტერესოს.

ამ წერილით გაღიზიანებულმა მეორე თანაკლასელმა ბოკუჩავამ არ დაახანა და ლანძღვა-გინების ლაფი დაასხა ბატონ ომარს, თითქოს მან შეგვიკვეთა „ანტიბოკუჩავისტური" სტატია.

ომარ მარგველაშვილს დიდი ხანია, ვიცნობ, როგორც საბჭოთა პერიოდის წარმატებულ სამეურნეო მუშაკს, ამჟამად ასევე წარმატებულ ბიზნესმენს. ჩვენ ერთმანეთს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე ვხდებოდით ამ გაზეთთან ჩემი თანამშრომლობის დროს. სხვა ურთიერთობა მასთან არ მქონია. გარდა ამისა, ომარმა, ბოკუჩავასადმი ჩემი პასუხი, გამოქვეყნების შემდეგ გაიგო, რის შესახებაც მითხრა ერთი საჯარო შეხვედრის დროს, თან ისიც დაამატა — ბოკუჩავა ჩემი თანაკლასელი იყოო, რაზეც მივუგე — საშინელი თანაკლასელი გყოლიათ-მეთქი.

ახლა, რაც შეეხება ჩემ რუსოფობას. დიახ! მე მსურს, რომ საქართველოს რუსეთთან ჰქონდეს ნორმალური კავშირები, ვინაიდან რუსეთი ჩვენი მეზობელია, თან ძლიერი ქვეყანაა, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, დიდი ისტორიისა და კულტურის, მართლმადიდებლური ქვეყანა.

დიახ! ჩვენს ურთიერთობაში იყო ხინჯიც, მაგრამ კარგი მეტი იყო და იმ კარგზე უნდა ვილაპარაკოთ, თუ გადარჩენა გვსურს. როდესაც, მიუხედავად აშშ-ის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისა, რუსეთში სხვადასხვა ქვეყნის მეთაურებისა და ბიზნესმენების ვიზიტები არ წყდება, განა საკმარისი არ არის თვალი აახილო?

რუსეთი აგრესორიაო, რომ გავიძახით — ერთ საქმეზე აგრესორიც და თავდამცველიც — ორი არ შეიძლება იყოს.

ევროკავშირის სპეცკომისიამ 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილი მიიჩნია აგრესორად და არა რუსეთი, არადა, ჩვენ უტეხად გავიძახით — რუსეთია აგრესორიო. ამ „სიმართლეს" აშშ და მისი ყურმოჭრილი „მოკავშირეები" ამბობენ, რომელთა წვლილი სააკაშვილის აგრესიაში განუზომელია.

აღნიშნულის შესახებ გაზეთ „გარდიანში" გამოქვეყნდა ინგლისის სპეცსამსახურის ყოფილი მაღალჩინოსნის სკარლეტის ინტერვიუ, სადაც ამბობს, რომ აშშ-ის და ინგლისის ერთობლივი პროექტი იყო სამხრეთ ოსეთში ომის წამოწყება და რუსეთის ჩათრევა; რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან მუდმივი ცეცხლის აგიზგიზება და ამით რუსეთის ხელისუფალთა ყურადღების სამხრეთზე მიპყრობა. გავიხსენოთ ბაქრაძის მოწოდება — ჩანგლებით და დანებით რუსეთის წინააღმდეგ პარტიზანული ომის გაჩაღების თაობაზე.

ეს გეგმა რუსეთმა სწრაფი სამხედრო პასუხით ჩაშალა. მას რომ კარდინალური ნაბიჯი არ გადაედგა, ვინ იცის 2008 წლის სააკაშვილის მიერ დაწყებული ომი ჯერაც მოუმთავრებელი ყოფილიყო. დასავლეთს ეს პროექტი საქართველოში არ გამოუვიდა, მაგრამ მოგვიანებით განახორციელა უკრაინაში, სადაც 2014 წლიდან მიმდინარეობს ომი.

ბოკუჩავასა და მისთანებს ვურჩევ წაიკითხონ ისრაელელი პუბლიცისტისა და ჟურნალისტის ლევ გუნინის ნაშრომი, მიძღვნილი ცხინვალის ომისადმი, სადაც ავტორი ზედმიწევნით, ზუსტად აღწერს ომამდელ, ომის დროინდელ და ომის შემდგომ ვითარებას.

სამწუხაროდ, საქართველო ამერიკულ ხაფანგში მოექცა და დაუფიქრებლად ასრულებს მის დავალებას — ანტირუსულ პროპაგანდას. არ სურს რუსეთთან ურთიერთობა და აკრიტიკებს ყველას, მათ შორის, „პატრიოტთა ალიანსს" მოსკოვთან მოლაპარაკების გამო.

საქართველოს ხელისუფლება და „რუსოფობები" ქვეყნის ხსნას აშშ-ს უკავშირებენ, მაშინ, როდესაც შეერთებულმა შტატებმა დახმარების ხელი ვერ გაუწოდა მისსავე ტერიტორიას — პუერტო-რიკოს, ყურისძირში მდებარეს, ქარიშხალით მიწასთან გასწორებულს, სასმელი წყლის და შუქის გარეშე დარჩენილს.

სისულელეა იმის მტკიცება, რომ აშშ-თან ან დასავლეთთან არ უნდა გვქონდეს ურთიერთობა, მაგრამ ასეთივე სისულელეა, რუსეთთან ურთიერთობის არქონა. აი, ამას ვახსენებთ მთავრობას და საზოგადოების ნაწილს.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## დავით როსტომაშვილზე თავდასხმაში ბრალდებული დაკავებულია

**შსს-მ მსახიობ დავით როსტომაშვილზე თავდასხმაში ბრალდებული პირი დააკავა, რომელმაც ბადრაგირების დროს გაქცევა მოახერხა:**

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა 2017 წლის 14 ივნისიდან ყაჩაღური თავდასხმის ბრალდებით ძებნილი, 1992 წელს დაბადებული ბ.კ. თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირმა, თანამზრახველებთან ერთად, 2017 წლის 14 ივნისს თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, მოქალაქე დავით როსტომაშვილს თავს ყაჩაღურად დაესხა.



ბ.კ.-მ, თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე, ბადრაგირების დროს გაქცევა მოახერხა.

ამჟამად, დაკავებული ბ.კ. მე-8 პენიტენციურ დაწესებულებაშია შესახლებული.

ამავე ყაჩაღობის ფაქტზე, ბრალდებულის სახით, ასევე, დაკავებულია 1991 წელს დაბადებული ზ. ქ. და 1988 წელს დაბადებული ა.ა.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლით მიმდინარეობს.



პეტრე I „დიდი ელჩობა“ ჰოლანდიაში 1697-1698 წ.

ჯუანშერ ვათაძე

# პეტრე დიდი – ბაგრატიონთა შთამომავალი?

## ვინ იყვნენ პირველი ქართველი დასავლეთევროპელები?

ალექსანდრე ბატონიშვილის სწორედ ასეთი განწყობა თვალნათლივ ჩანს პეტრე I-სადმი მისი წერილის „Post scriptum“-იდან, რომელიც არანაკლები ინტერესის აღმძვრელია, ვიდრე ძირითადი ტექსტი წერილისა. შინაარსი წერილის ამ მონაკვეთისა ავტორს ზოგადად თეოლოგიაში და, კერძოდ, კათოლიციზმისაგან განმდგარი ეკლესიის რეფორმატორების (იგივე პროტესტანტების) სწავლების ნიუანსებში ერთობ გათვითცნობიერებულ პიროვნებად წარმოაჩენს. ეს ასპექტი წერილისა იმ მხრივაცაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ ალექსანდრე ქარაგმულად მას პროტესტანტ ჰენრიკ ბრენერის პრობლემას უკავშირებდა. „Post scriptum“-ის პირველ ფრაზაში, რომელიც ადრესატისადმია მიმართული, ნათქვამი იყო: „თითქმის მაცდუნებს მსჯელობა რეფორმატებისა (ანუ პროტესტანტებისა – ჯ.ვ.)...,“ რომელიც, როგორც ირკვევა, უშუალოდ ეხებოდა ამ უკანასკნელთა მოწოდებას შეწყალებისა და ლმობიერებისადმი. მთლიანად ამ ფრაზის კონტექსტი ქართულად ასე იკითხება: „თითქმის მაცდუნებს მსჯელობა რეფორმატებისა, რომლებიც თავის მოსაზრებას მოციქულ პავლესთან (დამოწმებულ) ღმერთის მიერ მოსესადმი მიმართულ სიტყვებზე რომ ამყარებენ: შევიწყალებ მას და კიდევ შევიწყალებ უფრო გულუხვად, ვიდრე მანამ (შევიწყალე). ამის მიხედვით ცხადია, რომ შეწყალებას ნიმუში არ გააჩნია: თუ ორი იქნება (შესაწყალებელი), ერთი შეიწყალება, (მეორე შეუწყალებელი დარჩება). მაგრამ მადლობა ღმერთს, არა საქმეთა (მიხედვით), არამედ მომწოდებლის (ღმერთის – ჯ.ვ.) ნების მიხედვით („Не от Призывающего“). მომიტევე, მოწყალეო ხელმწიფევ, ასე რომ ვიღრინები („огрызаюся“). ვიდრე წერილიდან ზემოთ მოტანილ ამონაწერს კომენტარს დავურთავდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის მრისხანე მეფის გარემოცვიდან მის მიმართ ასეთი მკვახე გამონათქვამების მსგავსს (რასაც ადგილი ჰქონდა ალექსანდრეს წერილში და რისთვისაც მან თავი ვალდებულად ჩათვალა მოებოდიშებინა), არა თუ ვერავინ შებედავდა მას, არამედ აზრადაც კი არ გაივლებდა ასეთ დაპირისპირებას მონარქთან. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი ორ მეგობარს შორის არსებულ ძალზე მჭიდრო ურთიერთობაზე მიგვანიშნებს. „Post scriptum“-იდან ზემოთ დამოწმებული ტექსტი საღმრთო წერილის შესაბამისი ადგილის მიხედვით ასეთ განმარტებას შეიცავს: **„ის (ღმერთი) მიმართავს მოსეს: ვინც შესაწყალებელია, შევიწყალებ. ამრიგად შეწყალება დამოკიდებულია არა მსურველზე (შეწყნარებისა) და არც მოღვაწეზე, არამედ შემწყნარებელი ღმერთისაგან“**. სწორედ პავლე მოციქულის სენტენციიდან გამომდინარე ამ დებულებას ემყარებოდა წინასწარგანზრახულობის კალვინისტური დოქტრინა, რომლის დედააზრია: ღმერთმა თვით უწყის, ვის ჩათვლის ღირსად შეწყალებისა, ხოლო ადამიანს უფლება არა აქვს თავის პირად ღირსებათა თუ დამსახურების გამო ღმერთის შეწყალების იმედი ჰქონდეს. ამავე დებულებაზე დაყრდნობით ალექსანდრე ბატონიშვილი პეტრე I, ერთი მხრივ, იმას შთააგონებდა, რომ ღვთის მოწყალების მოტივირების ახსნა ადამიანური ლოგიკით შეუძლებელია, ხოლო – მეორე მხრივ, იმასაც, რომ მეფის მიერ გაღებული მოწყალებაც (და არა მსჯავრდება) თითქმის ასევე განუკითხავია, როგორც ღვთიური, ოღონდ განსხვავებული შინაარსით, და იქვე ცდილობს, განმარტოს ეს სხვაობა: როდესაც პეტრემ არ შეიწყნარა ბატონიშვილის თხოვნა სასჯელისათვის განწირული თავისი შვედი მეგობრისადმი მოწყალების შესახებ, გარკვეული აზრით ეს მისი როგორც მეფის „პრეროგატივა“ იყო და ამდენად ალექსანდრემ პეტრეს მიმართ თავისი გულისწყრომა და საყვედური გადაჭარბებულად ჩათვალა, რისთვისაც მეფეს ბოდიში მოუხადა. სულ სხვა შინაარსისაა ორ ცოდვილს შორის ღმერთის გასაკეთებელი არჩევანი (რაც ღვთის განგების „პრეროგატივაა“, თუ შეიძლება ასე ითქვას), როდესაც ერთ მათგანს შეწყალება ენიჭება, ხოლო მეორეს განკითხვის დღე ელოდება. ალექსანდრეს კომენტარს პავლე მოციქულის ამ სენტენციისა და მის მიმართ „რეფორმატების“ დამოკიდებულების შესახებ შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: ცოდვილისადმი ვერდიქტი (შეწყნარებულ იქნას იგი თუ განსაკითხავ სამსჯავროს გადაეცეს) მხოლოდ ღმერთს გამოაქვს (და არა მეფეს!). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ალექსანდრე პეტრეს I იმაში სდებდა ბრალს, რომ მან („ცოდვილი“ ბრენერის მიმართ მკაცრი მსჯავრდებით) დაარღვია მცნება „კეისარს კეისრისა“ და ხელჰყო „ღმრთისა“ (ანუ ღვთის განგების „პრეროგატივა“).

ეს სერიოზული ბრალდება იყო, რომელიც მეგობრებს შორის გარკვევას საჭიროებდა, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა მათ, სამწუხაროდ, აღარ მიეცათ. მოვლენათა მომდევნო განვითარებამ ამის შესაძლებლობა გამორიცხა, თუმცა ჩრდილოეთის ომის დასრულებისთანავე ცნობილი გახდა არა მხოლოდ ის, რომ პეტრე I-სათვის ქართველი მეგობრის ალექსანდრე ბაგრატიონის ნათელი ხსოვნა წარუშლელი დარჩა, არამედ ისიც, რომ ამ უკანასკნელის თხოვნა ჰენრიკ ბრენერის შეწყალების შესახებ პეტრემ ერთობ მოგვიანებით, მაგრამ მაინც შეასრულა: შვედი დიპლომატი საპყრობილედან გაანთავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა მისცეს.

ალექსანდრე ბატონიშვილის პეტრე I-სადმი წერილის ზემოთ განხილული შინაარსი იმის საფუძველს იძლევა, რომ შემდეგი დამაჯამებელი დასკვნა გაკეთდეს. ჰ. ბრენერის პრობლემასთან დაკავშირებით, რომელმაც სპარსეთში ყოფნის შედეგად რუსული დინასტიური საგვარეულოს ისტორიაში მნიშვნელოვანი კორექტივის შეტანა შეძლო, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მან უნებურად ორი მეგობრის – პეტრე I-ისა და ალექსანდრე ბაგრატიონის დაპირისპირება გამოიწვია. ობიექტურად ამ საკითხში ორივეს პოზიციას თავისი ახსნა ჰქონდა: პეტრე I ცდილობდა პირადი საერთაშორისო რეპუტაციის დაცვას და ამის გამო არ მოერიდა ჰ. ბრენერის მკაცრ დასჯას, მაშინ როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი გვირგვინოსანი მეგობრის ასეთი მოქმედება მიკერძოებული დაინტერესებით ახსნა, იგი ზნეობრივ-რელიგიური პრინციპების დარღვევაში დაადანაშაულა და, ფაქტობრივად, იმაზე მიანიშნა, რომ „ჭეშმარიტება მეფეზე უფრო ძლიერია“, როგორც ეს მომდევნო დროის ლიტერატურის კლასიკოსმა ზნეობრივი პოსტულატის სახით ჩამოაყალიბა. ასეთი გახლდათ ალექსანდრე ბაგრატიონის 1710 წ. 6 სექტემბრით დათარიღებული და პეტრე I-სადმი მიმართული წერილის ქვეტექსტი. იგი ქართველი ბატონიშვილის არა მხოლოდ მაღალი დონის განათლებაზე, არამედ ჰუმანურობასა და პრინციპულობაზეც მეტყველებს, განსაკუთრებით პატივისა და ღირსების დაცვის საკითხებში, დამოუკიდებლად დიდ რუს მეფე-რეფორმატორთან მისი გულწრფელი და ერთგული მეგობრული ურთიერთობისა.



პეტრე I დეპტფორდში გემთმშენებლობას ეუფლება. 1698 წ.

### III. პეტრე დიდის პროდასავლური ორიენტაციის საკითხისათვის

დასავლეთევროპული საზოგადოების წარმომადგენელთა ცხოვრების წესებისადმი ინტერესი პეტრე I-ს ყმაწვილკაცობიდანვე გაუღვივდა, როდესაც ის რამდენიმე მეგობართან (მათ შორის ალექსანდრე ბატონიშვილთან) ერთად შედარებით ხშირად აკითხავდა თავის ნაცნობებს მოსკოვის ე.წ. „ნემეცკაია სლობოდაში“, სადაც ცხოვრობდნენ დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები (მათ შორის შოტლანდიიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, ინგლისიდან, შვედეთიდან და სხვ.): ისინი რუსეთის სამსახურში იყვნენ მიწვეული, ან თავისი ქვეყნის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ. პეტრეს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა დაუმყარდა დასავლეთელ სამხედრო მოღვაწეებთან პატრიკ გორდონთან, ფრანც ლეფორტთან, ჰენრიკ ბიუტენანტთან, დასავლეთის ქვეყნების ელჩებთან და რეზიდენტებთან – იოჰან-ვილემ კელერთან, ჰილდებრანდ ფონ ჰორნთან, მეცნიერებთან და კულტურის მოღვაწეებთან. შემეცნებითი ხასიათის ურთიერთობამ ამ პიროვნებებთან რუსეთის ახალგაზრდა მეფეს მიზანმიმართული მისწრაფებები ჩამოუყალიბა, რაც თავდაპირველად მის დაუოკებელ სურვილში გამოიხატა, რათა დასავლურ სამხედრო ხელოვნებას დაუფლებოდა. ამის შედეგმა მყისიერად იჩინა თავი ჯერ პრეობრაჟენსკოეში, შემდეგ კი მოსკოვის სხვა გარეუბნებში თანატოლი მეგობრების მხარდაჭერით განხორციელებულ ე.წ. „შესაქცევარ სამხედრო თამაშებში“, რომლებმაც ახლო მომავალში საფუძველი ჩაუყარეს სანიმუშოდ გაწვრთნილ რუსულ საჯარისო ნაწილებს, ისევე როგორც რუსეთის ზღვისპირეთის ცალკეულ რეგიონებში რუსული ფლოტის შესაქმნელად სათანადო ღონიძიებების განხორციელებას.

ასეთი იყო პეტრე I-ის მიერ რუსეთში მოგვიანებით ჩატარებული ძირეული რეფორმის ჩანასახი, რომელმაც თანდათან მოიცვა ადგილობრივი ცხოვრების სხვა სფეროები კულტურისა და განათლების, სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა და ქვეყნის მართვის სრულიად ახალი წესების ჩათვლით. ყოველივე ამის ხელშემწყობი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ 1695 წელს გარდაიცვალა პეტრეს უფროსი ძმა იოანე V, რომელსაც რუსეთის ტახტი პეტრესთან ერთად ეკავა. ქვეყნის ერთპიროვნული მმართველის სადავეს დაუფლებულმა პეტრე I-მა, მას შემდეგ, რაც გადალახა მის საწინააღმდეგოდ მიმართული ტახტის რეგენტის, დიდი თავადის ასულის სოფიოს მიერ ინსპირირებული ექსცესები, მთავარ ღონისძიებად დაისახა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (უმთავრესად ჰოლანდიაში, ინგლისსა და ავსტრიაში) რუსეთის ე.წ. „დიდი ელჩობის“ წარგზავნა, რომელსაც სათავეში თავი-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №198-208

თონ ჩაუდგა ერთგვარი ინკოგნიტოს დაცვით (ანუ ელჩობის შემადგენლობაში თავისი მონაწილეობის შეძლებისამებრ დაფარვით).

ელჩობის წინაშე რამდენიმე ძირითადი ამოცანა იყო დასახული: დასავლეთევროპელთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე დაკვირვება, გაცნობა მათი საგანმანათლებლო სისტემისა და მის პროცესში ნაწილობრივი ჩართვა (უცხო ენისა და პროფესიის ათვისების მიზნით).ამას ხელი უნდა შეეწყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან რუსეთის კეთილგანწყობილი პოლიტიკური და ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობათა განმტკიცებისათვის. საკუთრივ პოლიტიკურ ასპექტს რაც შეეხება პეტრე, კერძოდ, ცდილობდა, გარკვეულიყო იმაში თუ რაოდენ შეუწყობდა ხელს დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან ერთად რუსეთის მონაწილეობა ე.წ. „ანტითურქულ ლიგაში“, რომლის მთავარი მიზანი იყო (პეტრეს გამონათქვამით) „ჩალმის განდევნა კონსტანტინოპოლიდან“ და რუსეთისათვის შავი ზღვისკენ გზის გაკვალვა. „დიდმა ელჩობამ“ მის წინაშე დასახული მიზნების შესაბამისად თავისი საქმიანობა მეტად ნაყოფიერად წარმართა ჯერ ჰოლანდიაში, სადაც მან თითქმის წელიწადი დაჰყო, ხოლო შემდეგ დიდ ბრიტანეთში, სადაც იგი მიიწვია ჰოლანდიის შტატ-ჰალტერმა ვილჰელმ III ორანიელმა, რომელიც იმავდროულად ინგლისის მეფე გახლდათ.

ჰოლანდიის დედაქალაქში დაფუძნებული „დიდი ელჩობის“ მოღვაწეობაში პეტრე I ენერგიულად მონაწილეობდა: ზაანდამში, ამსტერდამსა და ჰააგაში იგი პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად სამეურნეო ხასიათის პრაქტიკულ საქმიანობასაც აქტიურად ეწეოდა, რაც უმთავრესად გემთმშენებლობას ეხებოდა. ახალგაზრდა რუსი მეფე იმდენად ესწრაფვოდა პირადად გათვითცნობიერებულიყო ამა თუ იმ პროფესიის ნიუანსებში, რომ არ თაკილობდა რომელიმე ვერფზე ცულით ხელში დურგლად ემუშავა. მსგავსი ფაქტების გახმაურებას ხელი შეუწყო, ფაქტობრივად, ყველასათვის უკვე გამჟღავნებულმა მისმა „ინკოგნიტომ“, მაგრამ პეტრესათვის კეთილად დამახასიათებელი ეს თვისება მისი ამალის ზოგიერთმა დიდგვაროვანმა წევრმა იმდენად მტკივნეულად აღიქვა, რომ ერთ-ერთმა მათგანმა მეფეს შენიშვნაც კი გაუბედა იმის თაობაზე, რომ ასეთი მოქმედებით იგი თავისი ქვეყნის ღირსებას ლახავდა. რუსი ბოიარინის ამ გამოხდომამ პეტრე ისე გააღიზიანა, რომ მისი მყისიერი სასტიკი დასჯა გადაწყვიტა, თუმცა ამ ეპიზოდს გამოეხმაურა პეტრესადმი დიდი სიმპათიითა და პატივისცემით გამსჭვალული ამსტერდამის ბურგომისტრი ნიკოლაას ვიტსენი და მისი თხოვნის შედეგად პეტრემ თავისი ამალის თავხედურად გარჯილი წევრი განდევნა ელჩობის შემადგენლობიდან და მოსკოვში გაისტუმრა. ეს შემთხვევა იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ პეტრე I-ის მოღვაწეობის ამ, შედარებით ადრეულ პერიოდში გამოაშკარავებულ, „ოპონენტს“ მიმდევრები გამოუჩნდნენ ჩვენს დროშიც, რაზეც ქვემოთაც იქნება მოთხრობილი.

ინგლისში პეტრე I თითქმის ნახევარი წელი იმყოფებოდა. თანმხლებ პირებთან ერთად იგი ძირითადად ლონდონში და დეპტფორდში ცხოვრობდა, როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად არაერთხელ იყო მიწვეული კენსინგტონის სამეფო სასახლეში მის პატივსაცემად გამართულ მეჯლისებზე. მას მჭიდრო ურთიერთობა დაუმყარდა სამეფო კართან დაახლოებულ ინგლისელ მოღვაწეებთან, ხშირად ესწრებოდა ლონდონის ცენტრში განლაგებულ ცნობილ თეატრ „დრიური ლეინში“ დადგმულ წარმოდგენებს და სხვა კულტურულ ღონისძიებებს. ამასთან ერთად მთავარი მისი ყურადღება მიმართული იყო დეპტფორდის ვერფისა და ლონდონის შემოგარენში განლაგებული ვულიჩის საარტილერიო პოლიგონისადმი, სადაც ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად (ამ დროისთვის ეს უკანასკნელი უკვე ჩარიცხული იყო ჰააგის „რაინდთა აკადემიაში“ საარტილერიო საქმის ასათვისებლად) მიწვეული იყო ინგლისის მეფის მეგობრის გრაფ რომნის მიერ, რომელსაც გენერალ-ფელცოიხმაისტერის მაღალი თანამდებობა ეკავა. დეპტფორდის ვერფზე და ლონდონიდან საკმაოდ დაცილებულ პორტსმუტის გემთსაშენებელ კომპლექსში პეტრემ საფუძვლიანად აითვისა საზღვაოსნო ხელოვნებისა და ინგლისური გემთმშენებლობისათვის დამახასიათებელი ნიუანსები. გარდა ამისა, ჰოლანდიაში დაბრუნებამდე პეტრემ ინგლისელ კეთილისმსურველთა დახმარებით ხელი მოაწერა რამდენიმე საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებას, მათ შორის რუსეთში თამბაქოს მოშენებისა და გავრცელების შესახებ, რაშიც ინგლისელმა მრეწველმა ლორდმა კარმარტენმა და მისმა ამერიკელმა კოლეგებმა რუსეთის მეფეს დიდძალი თანხა გადაუხადეს. მან ეს თანხა გამოიყენა ჰოლანდიასა და ინგლისში დიდი რაოდენობით სამხედრო იარაღის შესასყიდად, რომელიც ინგლისის მეფის მიერ პეტრესათვის ნაჩუქარ ხომალდზე დაიტვირთა და რუსეთში უმალ გაიგზავნა „დიდი ელჩობის“ უკან დაბრუნებამდე.

პეტრე I-მა და მისმა თანხმლებმა პირებმა ჰოლანდიაში დაბრუნებისას გააგრძელეს თავისი საქმიანობა ამ ქვეყნის ქალაქებში. მეფემ განაახლა კონტაქტი ადგილობრივ მოღვაწეებთან, განსაკუთრებით ამსტერდამელ ნეგოციანტთან იოჰან (იან) ტესინგთან და მის მეგობართან ილია კოპიევსკისთან, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილს ჰოლანდიურ ენას ასწავლიდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პეტრე I-მა იან ტენსინგს და ილია კოპიევსკის დაავალა ამსტერდამში მცირე სტამბის დაარსება, რომელშიც ძირითადად გემთმშენებლობასთან დაკავშირებული ნახაზები უნდა დაებეჭდათ; მათ მოგვიანებით არხანგელსკში შექმნილ გემთსაშენებელ დაწესებულებაში წარმატებით იყენებდნენ. პეტრეს კეთილმეგობრული ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე ჰოლანდიელ მედიკოსებთან, რომელთა ოპერაციებს უშუალოდ ესწრებოდა და სტომატოლოგის პროფესიაშიც კარგად ერკვეოდა. ამავდროულად პეტრე თვალს ადევნებდა ალექსანდრე ბატონიშვილის სწავლას ჰააგის „რაინდთა აკადემიაში“. ამ დაწესებულების ხელმძღვანელობის მიწვევით იგი დაესწრო დიდ სამხედრო – სავარჯიშო ღონისძიებას მეუდერბერგის საარტილერიო პოლიგონზე, რომელშიც წარმატებულად მონაწილეობდა ქართველი ბატონიშვილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



პეტრე I ესწრება საჩვენებელ ბრძოლას ჰოლანდიაში მდინარე ეიზე 1697 წ.



# გალელების ნაწილი ბინადრობის მოწმობაზე უარს ამბობს

**აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში ზაფხულში დაწყებული ბინადრობის მოწმობის გაცემის პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება. დოკუმენტის მიღებაზე, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებზეა გათვლილი და ხუთწლიანი ვადა აქვს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების ნაწილი უარს აცხადებს, ნაწილმა კი უკვე მიიღო მხოლოდ იმიტომ, რომ გალიდან დანარჩენ საქართველოში გადაადგილება მოახერხონ.**

როგორც რადიო „თავისუფლებას“ გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მკვიდრმა განუცხადა, გალელებს ბინადრობის მოწმობის აღება არ უნდათ, რადგან ის, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქის დოკუმენტი, თავის მხრივ ბევრ შეზღუდვას გულისხმობს. რესპონდენტი, რომელსაც ვინაობის დასახელება არ სურს, ამბობს, რომ მოსახლეობაში გავრცელდა ჯერ კიდევ დაუზუსტებელი ცნობა შესაძლო ალტერნატიული საბუთის შემოღებაზე:

**„ამ საბუთით არ შეიძლება პირადი დოკუმენტის ცნობა, პირადი ქონების ქონა. არ გაქვს უფლება უძრავი ქონების გაყიდვის და, მოკლედ, გარკვეული შეზღუდვებია. ამიტომ მოსახლეობა თავს იკავებს მისი აღებისგან. გაურკვევლობაა ძალიან სერიოზული. დაიწყებაო რაღაც სხვა საბუთების გაცემაო, მაგრამ ჯერ ესეც არ არის. ამიტომ ამ საბუთის აღებას ჯერ მასიური სახე არ აქვს“.**

ბინადრობის მოწმობა იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტია. ის იძლევა აფხაზეთში გადაადგილებისა და მის საზღვრებს გარეთ – საქართველოს რესპუბლიკაში – გადაადგილების საშუალებას, რაც მათ (გალელებს) ძალიან აწუხებთ...

დე ფაქტო რესპუბლიკაში ბინადრობის მოწმობასთან ერთად ზაფხულში დაიწყო ახალი ე. წ. აფხაზური პასპორტების გაცემაც, თუმცა ის არ არის გათვლილი საქართველოს მოქალაქეებზე. ამასთანავე, პარალელურად ივნისიდან შეწყდა ე. წ. ფორმა ნომერი ცხრის გაცემა, რომლითაც პასპორტის არმქონე მოქალაქეები ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილებას ახერხებდნენ. ამჯერად გალის ადმინისტრაცია მანამდე გაცემულ ფორმა ცხრის ვადას ორი თვით მხოლოდ იმ შემთხვევაში ახანგრძლივებს, თუ მოქალაქე ბინადრობის მოწმობაზე განაცხადს შეავსებს. რადიო „თავისუფლების“ რესპონდენტს, გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში მცხოვრებ ირმა არონიას, ხშირად უწევს ოკუპირებული ტერიტორიიდან ზუგდიდში გადმოსვლა და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ არ უნდოდა, იძულებული გახდა, ბინადრობის მოწმობის მისაღებად საბუთები ჩაებარებინა.

**„მე პირადად წალენჯიხელი ვარ და დამჭირდა დაბადების მოწმობაც და ქორწინების მოწმობაც ჩამებარებინა. როცა მოვა ბინადრობის მოწმობა, გააუქმებენ ფორმა ცხრას. თანხას რაც შეეხება, სჭირდება დაახლოებით ორმოცი ლარი. მე პირადად უკვე ჩავაბარე, მაგრამ ორი თვე მაინც სჭირდება, რომ მოვიდეს პასუხი, უარყოფითი ან დადებითი“,** – ამბობს ირმა არონია.

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტმა 2017 წლის 30 მარტს მიიღო ე.წ კანონი, რომელიც რეგიონში მცხოვრები აფხაზეთის მოქალაქეობის არმქონე პირის სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს. ამ გადაწყვეტილებით, დროებითი ბინადრობის მოწმობა მიენიჭებათ მეტწილად გალის მცხოვრებლებს, რადგან მათ უმრავლესობას არ გააჩნია ე. წ. აფხაზეთის მოქალაქეობა და წლების განმავლობაში სამართლებრივი სტატუსის არქონის მიზეზით ეკრძალებოდათ ე. წ. არჩევნებში მონაწილეობის მიღებაც.

აფხაზეთში მოქმედ მედიასაშუალებებთან ბინადრობის მოწმობის შესახებ განმარტებები ჯერ კიდევ ივლისში, მისი გაცემის დაწყებისას, გააკეთა გალის დე ფაქტო საპასპორტო-სავიზო განყოფილების უფროსმა ედუარდ მანარგიამ:

როგორც დე ფაქტო რესპუბლიკის საპასპორტო-სავიზო განყოფილებაში განმარტავენ, იმისთვის, რომ მოქალაქემ მიიღოს ბინადრობის მოწმობა, უნდა ფიქსირდებოდეს აფხაზეთში მცხოვრებად 1995 წლიდან.

თამარ ზანთარაია

# მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირება იწყება

**10 ოქტომბერს აჭარაში ისტორიული მნიშვნელობის პროექტის – მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირების სამუშაოები იწყება. სამუშაოების დაწყების ცერემონია 12 საათზე შუახევის მუნიციპალიტეტში, ხიჭაურში გაიმართება.**




ბათუმი-ქედის მონაკვეთის (ხიჭაურის დასახლებამდე) გაზსადენი მილის მშენებლობის სამონტაჟო სამუშაოების დაწყების ღონისძიებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრება.

გაზსადენის დანიშნულება სამი მუნიციპალიტეტის: ხელვაჩაურის, ქედის და შუახევის ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფაა. გაზსადენის ტრასა სოფელ სალიბაურიდან სოფელ ერგემდე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას მიუყვება. სოფელ ერგედან ხიჭაურის დასახლებამდე კი – ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზას. გაზსადენის საერთო სიგრძე 65 162 მეტრია. ის 11 000 აბონენტის გაზიფიცირებას უზრუნველყოფს. გაზსადენის სამშენებლო ღირებულება 25 850 000 ლარია. პროექტი 2019 წლის 1 მარტს უნდა დასრულდეს. კომპანიას ბათუმი-ქედის მონაკვეთის სამუშაოებზე 75 თანამშრომელი ყავს დასაქმებული.

# ჯეიმს რიში: მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ საქართველო ნატოს წევრი გახდება

ნატოს კარი ღია არის და საქართველო ნატოს წევრი გახდება, როცა მზად იქნება, აცხადებს ამერიკის სენატის საგარეო საქმეებისა და დაზვერვის კომიტეტების წევრი, სენატორი ჯეიმს რიში. ის ამბობს, რომ დემოკრატიის აშენება ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც მოთმინება და ყველა მხარის ხედვის გათვალისწინება სჭირდება. საქართველოზე, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებსა და უკრაინაზე სენატორს ია მეურმიშვილი ესაუბრა.




**— ბატონო სენატორო ჯეიმს, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების რა ზოგად შეფასებას გააკეთებდით ამ ეტაპზე?**

— ურთიერთობა ისეთი კარგი არ არის, როგორც წარსულში იყო, თუმცა ამას, ვფიქრობ, ორივე მხარე შეეჩვია და ვისწავლეთ, როგორ გავართვათ თავი ამ მდგომარეობას. ზოგიერთ სფეროში კონკრეტული საერთო ინტერესები გვაქვს, მაგრამ ასევე გვაქვს დიდი განსხვავებებიც. საერთაშორისო სცენაზე რუსები საკუთარ თავს იმისგან განსხვავებულად ხედავენ, ვიდრე ამას ჩვენ — ამერიკელები ვხედავთ. ამ პოზიციის გასამყარებლად ისინი ფარული და ღია მეთოდებით ცდილობენ სხვადასხვა მთავრობაზე გავლენის მოპოვებას. ეს განსაკუთრებით არჩევნებში გამოიხატება. ეს კი ჩვენს შორის სირთულეებს იწვევს, რადგან ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ ქვეყანას გარე ჩარევის გარეშე უნდა შეეძლოს მოქმედება.

**— თქვენ დაზვერვის კომიტეტის წევრი ხართ, რომელიც რუსეთის მხრიდან ამერიკის არჩევნებში სავარაუდო ჩარევას იძიებს. რა მოლოდინი გაქვთ ამ გამოძიებისგან?**

— კომიტეტში ჩვენ შევისწავლეთ დიდძალი ინფორმაცია და ვესაუბრეთ ბევრ ხალხს. საბოლოო ჯამში, გამოვაქვეყნებთ ანგარიშს, რომელიც ამბობს იმას, რაც თითქმის ყველას მიერ უკვე ნათქვამია — რუსებმა სცადეს, აქტიური ზომები მიეღოთ ჩვენს არჩევნებზე გავლენის მოსახდენად. ასევე ვცდილობთ, დავადგინოთ, თანამშრომლობდა თუ არა მათთან ვინმე ამერიკაში. არა მგონია, რომ ამ გამოძიებამ ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბოს, მაგრამ ასევე არა მგონია, რომ ის რამეს გააუმჯობესებს. ჩვენს შორის ურთიერთობა ალბათ იგივე მდგომარეობაში დარჩება.

კარი ღიაა, მაგრამ შესვლამდე აუცილებელია წევრობის კრიტერიუმების დაკმაყოფილება. მე ამას 100 პროცენტით ვუჭერ მხარს. კრიტერიუმები დემოკრატიას, თავდაცვისუნარიანობას, თავდაცვაზე დანახარჯებს უკავშირდება.

**— ანგარიში ადმინისტრაციას რაიმე მოქმედებისკენ მოუწოდებს?**

— ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით. მაგრამ არ მგონია, რომ ანგარიშმა ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაზე რაიმე გავლენა იქონიოს.

**— არჩევნებში შესაძლო ჩარევასთან ერთად, „სტარტის“ (სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება, START II) ახალი შეთანხმების გარდა რუსეთი საერთაშორისო იარაღის კონტროლის თითქმის ყველა ხელშეკრულებას არღვევს. როგორ უნდა გაართვას ამერიკამ თავი ამ დარღვევებს?**

— მე „სტარტის“ ახალი შეთანხმების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე ვიყავი. ჩემი პოზიცია მას შემდეგ არ შეცვლილა, რუსები იტყუებიან, ჩვენ ვიცით, რომ ისინი იტყუებიან და ისინი ამას უწყვეტად აკეთებენ. ჩვენ მუდამ ფხიზელი თვალით უნდა დავაკვირდეთ მათ მოქმედებებს და დარღვევების შემთხვევაში ისინი ყოველთვის ვამხილოთ.

**— და მხილების შემდეგ?**

— სხვადასხვა მეთოდი არსებობს... მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ როცა შეშფოთების დონე იმატებს, მათთან უნდა დავსხდეთ და შევახსენოთ, რომ ამ ხელშეკრულებებს ხელი საკუთარი სურვილით მოაწერეს და რომ ჩვენ მათ დარღვევას არ მივიღებთ. გვქონია შემთხვევები, როცა მათ ხელშეკრულებები დაურღვევიათ და ჩვენ ისინი შეთანხმების პირობების შესრულების პოზიციაში დაგვიბრუნებია.

**— თქვენი აზრით, ადმინისტრაციამ უკრაინას ლეტალური იარაღი უნდა მისცეს?**

— ძალიან მნიშვნელოვანია მხარეები დასხდნენ და კომპრომისის გამოყენებით მივიდნენ საბოლოო შეთანხმებამდე იმაზე, თუ როგორი ფორმით სურთ ქვეყნის მართვა. ამერიკაში ასეთ საკითხებს ამ მეთოდით ვართმევთ თავს. ეს საკმაოდ რთული და დაძაბული პროცესია, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველას ეძლევა საშუალება საკუთარი წვლილი შეიტანოს ცვლილებების დანერგვაში.

როგორც იცით, სენატში ამ საკითხს კენჭი ვუყარეთ და მე მას მხარი დავუჭირე. ჩემი პოზიცია უცვლელია — უკრაინას თავდაცვითი იარაღი უნდა მივცეთ. ისინი ძალიან რთულ ვითარებაში არიან — რუსეთის საზღვარზე დიდი რაოდენობით ეთნიკურად რუსი მოსახლეობით. ეს ქვეყნის მართვას ძალიან ართულებს.

**— უჭერთ თუ არა მხარს ნატოს ღია კარის პოლიტიკას? ნატოს წევრობის კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში, უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს ნატოში გაწევრებას?**

— დიახ! მაგრამ როგორც თქვენ თქვით, აქ საკვანძო ფრაზა კრიტერიუმების დაკმაყოფილებაა. საქართველოსთან დიდი ხანია, დიალოგი გვაქვს ნატოში გაწევრიანებაზე და საქართველო ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილებაზე მუშაობს. ქვეყანას დიდი პროგრესი აქვს, თუმცა წევრობის კრიტერიუმებს ბოლომდე ჯერ ვერ აკმაყოფილებს. თუმცა, ერთ დღეს, როცა ამას გააკეთებენ, ისინი ნატოს წევრი გახდებიან.

**— საქართველოს პარლამენტმა ცოტა ხნის წინ კონსტიტუციის შეცვლას დაუჭირა მხარი. როგორც წინა ხელისუფლების დროს, ამჯერადაც საკონსტიტუციო პროცესში ყველა მხარე არ იყო ჩართული. რას ფიქრობთ ამაზე, თქვენი აზრით პროცესების ასეთი განვითარება დემოკრატიის გამყარებას ხელს უწყობს?**

— ჩემს მოსაზრებას გაგაცნობთ, მაგრამ არ მინდა იფიქროთ, რომ ქართველ ხალხს რამენაირად ჭკუას ვასწავლი. ამის არანაირი განზრახვა არა მაქვს.

როგორც იცით, მე საქართველოში 2012 წლის არჩევნებს დავესწარი. არჩევნები შთამბეჭდავად ჩატარდა და არ ყოფილა გაყალბება. დაკვირვების მიზნით, ჩვენ ყველაფერზე გვქონდა წვდომა.

საქართველო წინ მიიწევს. ერთი, რაც უნდა გვახსოვდეს, ის არის, რომ დემოკრატიის აშენებას დრო სჭირდება და ეს ერთ ღამეში არ ხდება. მას დაღვინების პროცესი სჭირდება, რომელიც ზოგჯერ თაობების მანძილზე გრძელდება. საქართველო წინ მიიწევს და ჩვენ ამ წინსვლის გაგრძელების დანახვა გვსურს.

**— რუსეთი სხვა ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის შეცვლას ბევრი მეთოდით ცდილობს. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია RT (ყოფილი „რაშა თუდეი“) და „სპუტნიკი.“ თქვენი აზრით, ისინი უცხო ქვეყნის აგენტად უნდა დარეგისტრირდნენ შეერთებულ შტატებში?**

— RT-ზე რომ გადართავ ტელევიზორს, დიდი ხანი არ გჭირდება იმის მისახვედრად, რომ ეს არ არის ამერიკის მიმართ მეგობრულად განწყობილი არხი. ეს რუსეთის მთავრობის არხია, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთის აგენტია და უნდა დარეგისტრირდეს, როგორც უცხო ქვეყნის აგენტი. მაგრამ ეს გამოსავალი არ არის. რომ დარეგისტრირდნენ მერე რა? ყველამ იცის, რომ ისინი რუსეთის პროპაგანდის მანქანის ნაწილია. მოკლედ რომ გიპასუხოთ, დიახ, უნდა დარეგისტრირდნენ, მაგრამ ამას სავარაუდოდ არანაირი შედეგი არ მოჰყვება.

**— თუმცა, ამით რუსეთს ძლიერი პოლიტიკური მესიჯი გაეგზავნება...**

გარკვეულწილად, არ მგონია პუტინმა ამის გამო ძილი დაკარგოს...

**ესაუბრა**
**ია მეურმიშვილი,**
**„ამერიკის ხმა“.**

## თურქეთი უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას მხარდაჭერას უცხადებს



**თურქეთი უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას განაგრძობს. ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა კიევში ოფიციალური ვიზიტისას განაცხადა. „ჩვენ არ ვცნობთ ყირიმის ანექსიას და სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას“, - აღნიშნა ერდოღანმა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.**

## ჩეგევარას გარდაცვალებიდან 50 წელი გავიდა

**არგენტინელი რევოლუციონერის ხსოვნის პატივსაცემად ქალაქ ვალეგრანდეში ათასობით ადამიანი შეიკრიბა. სწორედ ამ ქალაქში აღმოაჩინეს ჩეგევარას ცხედარი 1997 წელს. მემორიალურ ღონისძიებაში მონაწილეობა ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმაც მიიღო.**

## საფრანგეთში სახელმწიფო მოხელეები გაიფიცნენ

**გაფიცვა საფრანგეთში. მასობრივ შემცირებებს სახელმწიფო მოხელეები აპროტესტებენ. პირველად ბოლო ათი წლის განმავლობაში, გაფიცვას სახელმწიფო სტრუქტურების ცხრავე პროფკავშირი შეუერთდება. აქციაში სამოქალაქო ავიაციაც იღებს მონაწილეობას, რის გამოც შესაძლოა რეისების ერთი მესამედი გაუქმდეს.**

## ნამიბიაში ჰიპოპოტამები იხოცებიან



**ნამიბიაში ჰიპოპოტამების მასობრივი დაღუპვის ფაქტები გამოვლინდა. ბვაბვატას ეროვნულ ნაკრძალში 109 გარდაცვლილი ცხოველი იპოვეს. ნამიბიის ჯანდაცვის სამინისტრო ვარაუდობს, რომ გიგანტური ცხოველების დაღუპვის მიზეზი ციმბირის წყლულის ეპიდემია გახდა. ეპიდემიის გავრცელებამდე ეროვნულ ნაკრძალში 1300-მდე ჰიპოპოტამი ცხოვრობდა.**

## აფრიკაში სტიქიას ებრძვიან

**სამხრეთ აფრიკას ტროპიკულმა შტორმმა გადაუარა. ძლიერ ქარიშხალს თან სეტყვა და წვიმა დაერთო. ყველაზე დიდი ზარალი სტიქიამ ქვეყნის დედაქალაქ იოჰანესბურგს მიაყენა, სადაც ათობით დასახლებული რაიონი დაიტბორა. ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ არ გავრცელებულა.**

## კრიზისის დაძლევას ისევ ჯიმ კარტერი შეეცდება

**შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს ჯიმი კარტერს ჩრდილოეთ კორეაში ჩასვლა და კიმ ჩენ ინთან შეხვედრა სურს. ამის შესახებ სამხრეთ კორეული გამოცემა „ჩუნან ილბო“ წერს. სწორედ კარტერის შუამავლობით მიაღწიეს ვაშინგტონმა და ფხენიანმა 1994 წელს ბირთვული კრიზისიდან გამოსვლის შეთანხმებას.**

**93 წლის ექსპრეზიდენტმა შტატების ხელისუფლებას რამდენიმე დღის წინ ფხენიანში დელეგაციის გაგზავნისა და დიალოგისკენ მოუწოდა.**

## ბრუნეის სულთანმა გამეფების 50-ე წლისთავი იზეიმა

**ბრუნეიში მონარქის გამეფების 50-ე წლისთავს აღნიშნავენ. საზეიმო ცერემონიალი ქვეყნის დედაქალაქ ბანდარ სერი ბაგავანში გაიმართა და მასში მონაწილეობა 71 წლის სულთანმა ჰასანალ ბოლკიამ და მისი ოჯახის წევრებმა მიიღეს. ოქროს იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებს 80 ათასამდე ადამიანი ესწრებოდა.**



ფეხბურთი

# სავალალო ხუთიანები



**იყო დრო, ხუთიანები ფრიადოსნობას ნიშნავდა. მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ფასეულობათა გადაფასება მოხდა და წარჩინებულობის კრიტერიუმებიც შეიცვალა.**

ძველებურად რომ ვაპირებდეთ სასკოლო დღიურის შევსებას, საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა – ვლადიმერ ვაისის გაწვრთნილმა „ჯვაროსნებმა“ 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდი 5-5 ფრეთი და წაგებით დაასრულეს, მაგრამ ვაი ასეთ ხუთოსნობას, რადგან მოგებათა გრაფაში, პირველად ექტორ რაულ კუპერის ფორმაციის გუნდიდან მოყოლებული, სამარცხვინო ნული გვიციმციმებს.

სხვათა შორის, უელსთან ამასწინანდელი საშინაო მარცხის (0:1) შემდეგ სლოვაკმა სპეციალისტმა გულახდილად განაცხადა: ეს გახლავთ ჩვენი დღევანდელი რესურსის შესაბამისი შედეგიო და ამაში ძნელია არ დაეთანხმო მას. მართლაც, როცა მეტოქის კარისკენ საკუთარ მინდორზე პირველ და, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ერთადერთ ზუსტ დარტყმას მე-80(!) წუთზე შეასრულებ, ძნელია წარმატებაზე ფიქრი. ისე, თავი არც სტუმრებს მოუკლავთ – ერთადერთი კუთხური მაკარიძის კარისკენ ზედ საფინალო სასტვენის წინ ჩამოაწოდეს, თუმცა, გამარჯვების მოსაპოვებლად მეტი ძალისხმევა არც დასჭირვებიათ.

ობიექტურნი თუ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ბიჭებმა უკეთესად ბელგრადში ითამაშეს, სადაც პირველ ტაიმში ღირსეულად გაუმკლავდნენ მრისხანე მასპინძელ სერბეთს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბრძოლის განახლებისთანავე ბალკანელებმა დამატებითი სიჩქარეები ჩართეს, მათი უპირატესობა თვალსაჩინო გახდა და საბოლოოდ ყველაფერი მორიგი ლოგიკური მარცხით დავასრულეთ – 0:1 (პრეიოვიჩი).

აღსანიშნავია, რომ ისედაც საკადრო პრობლემებით გატანჯულ საქართველოს ნაკრებში (ანანიძის, ოქრიაშვილისა და მჭედლიძის ტრავმები) წინა შეხვედრასთან შედარებით სასტარტო შემადგენლობაში ოთხი ცვლილება განხორციელდა, რამაც, ერთი შეხედვით, სასიკეთოდ იმოქმედა მატჩის ხასიათზე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი საერთო სურათი უცვლელი რჩება – როგორი სავალალოცაა თანამედროვე ქართული ფეხბურთის ზოგადი მდგომარეობა მთელი თავისი მსხვილმან-წვრილმანები ნიუანსებით, ისეთივეა ჩვენი გუნდის კატასტროფული მონაგარი ყოველი შესარჩევი ციკლის ფინიშზე. სამწუხაროდ, ასევე გაგრძელდება მანამ, სანამ ძირეულ რეფორმას არ დაიწყებენ კომპეტენტური პროფესიონალები. ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, განაახლებს თუ არა კონტრაქტს ჩვენს გუნდთან ვლადიმერ ვაისი. ხომ გსმენიათ, რომ შესაკრებთა ადგილების შეცვლით ჯამი არ იცვლება. „დ“ ჯგუფის დანარჩენი შედეგები:

უელსი – ირლანდია 0:1, მოლდოვა – ავსტრია 0:1.

**საბოლოო მდგომარეობა:** სერბეთი – 21, ირლანდია – 19, უელსი – 17, ავსტრია – 15, საქართველო – 5, მოლდოვა – 2 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

მწვრთნელი

# ზუროსი რჩება?

**ამის დაწერა უკვე შეიძლება, მაგრამ აქვე განმარტებაა საჭირო: ბერძენ სპეციალისტთან კონტრაქტი არ განახლებულა და იგი ოფიციალურად საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ჯერ არ არის. თუმცა, როგორც კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა მიხეილ გაბრიჩიძემ განაცხადა, შეთანხმება მიღწეულია, მწვრთნელი უახლოეს მომავალში თბილისში ჩამოვა და ხელშეკრულებაც გაფორმდება.**

**ილიას ზუროსი საქართველოს ნაკრების მესაჭედ 2016 წელს იგორ კოკოშკოვის ნაცვლად დაინიშნა. მასთან ერთად ჩვენმა გუნდმა ევრობასკეტი 2017-ის მოსამზადებელი ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა, წლეულს კი ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფში მეხუთე ადგილი დაიკავა.**

24 ნოემბერს საქართველოს ნაკრები თავის ისტორიაში პირველად ჩაერთვება მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, სადაც ოთხგუნდიან ჯგუფში მოხვდა – გერმანიასთან, სერბეთთან და ავსტრიასთან. კარსმომდგარი მატჩების წინ მთავარი მწვრთნელის შეცვლა ნამდვილად არ იქნებოდა გამართლებული, მით უმეტეს, რომ ილიას ზუროსის კომპეტენციაშიც არ შეიძლება ეჭვის შეტანა.

ასე რომ, ახლო მომავალში იგი თბილისში გვეწვევა, ახალ კონტრაქტსაც გააფორმებს და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგება.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ჩოგბურთი

# იბრძოლა, მაგრამ...



**საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი შანხაის მასტერსზე ასპარეზობდა. იგი პირველ წრეში საჩოგბურთო ელიტის წარმომადგენელ არგენტინელ ხუან მარტინ დელ პოტროს დაუპირისპირდა. დაძაბულ ორთაბრძოლაში ჩვენი თანამემამულე 2:6; 6:3; 4:6 დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა.**

შეგახსენებთ, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილმა შანხაის მასტერსამდე საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარა, სადაც ორ მეტოქეს სძლია.

**კობა კობახიძე**

ჭიდაობა

# ვანაძორული ჯილდოებით



**საქართველოს, სომხეთის, რუსეთის, ირანის, უკრაინისა და ბულგარეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ მსოფლიოს ჭიდაობის გაერთიანების (UWW) ეგიდით სომხეთის ქალაქ ვანაძორში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში სტეპან სარგსიანის თასზე. ჩვენმა ფალავნებმა ცხრა ჯილდო მოიპოვეს. მთავარმა მწვრთნელმა გიორგი იანტბელიძემ ტიტულოვან სპორტსმენებს დასვენების საშუალება მისცა და შეჯიბრებაზე გადახალისებული შემადგენლობა წაიყვანა.**

74 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იჭიდავა ავთანდილ კენჭაძემ, რომელმაც ყველა მეტოქეს აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მსგავს წარმატებამდე თითო მოგება დააკლდათ კონსტანტინე ხაბალაშვილსა (70 კგ) და გიორგი მეშვილდიშვილს (125 კგ), რომლებმაც გადამწყვეტი პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ, შალვა ხუციშვილმა (61 კგ), ომარ გურჯიძემ, ლევან ქელეხსაშვილმა (ორივე 70 კგ), გიორგი ლობჟანიძემ (74 კგ), დავით ხუციშვილმა და ნიკა კენჭაძემ (ორივე 74 კგ) კი ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

**გივი გაგუა**

ჭადრაკი

# თითო მოგება და მარცხი

**ქალთა 12 და ვაჟთა 36 გუნდი მონაწილეობს მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო თასის გათამაშებაში (საპრიზო ფონდი 34.000 ევრო), რომელსაც თურქული ანტალია მასპინძლობს. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავს მსგავსი ტურნირების ორგზის გამარჯვებული (2014-2015) და შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი ბათუმის „ნონა“ (გუნდის კაპიტანია მარიკა ჯაფარიძე), რომელიც საშუალო რეიტინგით შეჯიბრებაზე პირველია. ბათუმელებმა პირველ ტურში თურქეთის „ანატოლიას“ სძლიეს 2.5:1.5 (ნანა ძაგნიძე (რეიტინგი 2520) – ეკატერინა ატალიკი (2468) 0.5:0.5, ინდოელი ჰარიკა დრონავალი (2528), რომელიც პირველად გამოდის „ნონას“ შემადგენლობაში, შავებით ბეთულ იილდიზს (2350) დაუზავდა, ბელა ხოტენაშვილი (2459) – ხაიალა ისკანდაროვა (2242) 1:0, სალომე მელია (2412) – კაგილ არდა (2040) 0.5:0.5.**



პირველი ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები: „ფილიდორი“ (საფრანგეთი) – „იუგრა“ (რუსეთი) 1:3, „ლეჯისი“ (რუსეთი) – „მარმარა“ (თურქეთი) 3.5:0.5, „ბეერ-შევა“ (ისრაელი) – „ოლდარ იურდუ“ (აზერბაიჯანი) 0.5:3.5, „ბოსა ნოვა“ (ბელარუსი) – „აეგენი“ (თურქეთი) 4:0, „მედიტერანიანი“ (თურქეთი) – „სტუდენტეას მედიცინა“ (ტიმიშოარა, რუმინეთი) 0.5:3.5.

მეორე ტურში ბათუმის „ნონა“ აზერბაიჯანის „ოდლარ იურდუსთან“ დამარცხდა – 1.5:2.5 (ნანა ძაგნიძე (2520) – ზეინაბ მამედიაროვა (2298) 0:1, ჰარიკა დრონავალი (2528) – ულვია ფატალიევა (2348) 0.5:0.5, ნინო ბაციაშვილი (2472) – გულნარა მამადოვა (2355) 1:0, სალომე მელია (2412) – ხანიმ ბალაჯაიევა (2319) 0:1; „სტუდენტეს მედიცინა“ (რუმინეთი) – „ბოსა ნოვა“ (ბელარუსი) 1.5:2.5, „იუგრა“ (რუსეთი) – „ლეჯესი“ (რუსეთი) 2:2, „ანატოლია“ (თურქეთი) – „ბეერ შევა“ (ისრაელი) 2.5:1.5, „მედიტერანიანი“ (თურქეთი) – „ფილიდორი“ (საფრანგეთი) 1:3, „მარმარა“ (თურქეთი) – „აეგენი“ (თურქეთი) 2.5:1.5.

ევროპის საკლუბო თასის გათამაშების გამარჯვებულებსა და პრიზიორებს შვეიცარიული სისტემით შვიდი ტური გამოავლენს.

**ლექსო ცინცაძე**

# გამოთხოვება აკადემიკოს ფრიდონ თოდუასთან

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოსის, მეცენატისა და მოღვაწის, ახალგაზრდობის წლებიდან მეგობრის

**ფრიდონ თოდუას**

გარდაცვალების გამო.

## ვინა თქვა შენი გარდაცვალება...



„ქართულმა მეცნიერებამ და საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა“ — ხშირი და ხელაღებით ხმარების გამო ეს ფრაზა იმდენად ტრაფარეტული გახდა, რომ ვერანაირად ვერ ასახავს იმ ელდას, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას, რაც ფრიდონ თოდუას ამქვეყნიდან წასვლას უკავშირდება.

ძალიან ძნელია იფიქრო და ეძებო საჭირო სიტყვები.... ძალიან ძნელია ამ მოულოდნელი და საბედისწრო ამბის გამო. იგი უჩვეულოდ და წარმოუდგენლად არ ეხამება იმ ენერგიას, მუხტს, სიცოცხლისუნარიანობას, რითაც ასე გამოირჩეოდა ფრიდონ თოდუა.

თუ მის საქმესა და ნამოქმედარს გადავალებთ თვალს, თვალწინ ცოცხლდება სიტყვები, რითაც რუსთაველი ავთანდილს ახასიათებს: „კაცი იყო საქმისაცა, შესაფერი, შესატყვისი.“ ფრიდონ თოდუასთან დაკავშირებით რის დამატებასაც რუსთაველის სიტყვები საჭიროებს, არის „ცნობიერი აქტიორის“ ცნება. ფრიდონ თოდუა იყო არა მარტო მედიცინის, არამედ ქართველი საზოგადოების „ცნობიერი აქტიორი“. იგი ფლობდა კომუნიკაციის იმ საიდუმლოს, რაც გამოიხატება იმის გრძნობაში, თუ სად, როდის, რატომ რა უნდა თქვა ან არ უნდა თქვა...

მოძრაობა და წინსვლა, შენება, შექმნა იყო მისი დევიზი; ცხოვრებასა და მეცნიერებაში მისი ადგილისა და მნიშვნელობის განმსაზღვრელი ფაქტორი.

ფრიდონი განგებამ გამორჩეული ხვედრით დააჯილდოვა. თავისი ინტელექტი, ადამიანური ენერგია უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უშურველად მოახმარა თავის ქვეყანას. წარსულის დიდი მამულიშვილების მსგავსად, მან ქვეყნის მომავალს მკვიდრი და საიმედო ბურჯი შეუდგა; გააკეთა ის, რაც სხვისგან არ გაკეთებულა, იზრუნა იმაზე, რაც სამომავლოდ აუცილებელი იყო.

მახსოვს, ერთხელ მითხრა, ზოგი მედიცინაზე ისე საუბრობს, როგორც ბიზნესზე; მე სავაჭრო ცენტრი კი არ გავხსენი, არამედ ჩემს სამშობლოში დავაფუძნე ულტრათანამედროვე, მსოფლიო მოწინავე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამედიცინო აზროვნების სკოლა. მე მაშინ მოვკვდები, როცა გავჩერდები, ვერ შევძლებ ჩემს კლინიკაში ახალი ტექნოლოგიების, ახალი აზროვნების, ახალი ხედვის დანერგვასო.

იგი მუდამ გატაცებით ყვებოდა იმ ახალ მიღწევებზე მედიცინაში, რომელთა დანერგვა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ დგას დღის წესრიგში. მისი მთავარი მიზანი იყო ის რომ, საქართველო გამხდარიყო არა მხოლოდ კავკასიის, არამედ მთელი წინა აზიის ლიდერი სამედიცინო მომსახურების სფეროში.

ჩვენ გადავეჩვიეთ გრძელვადიან პროექტებს. არის საქმები, რომელთა განხორციელებას თვეები კი არა, წელიწადები არ ეყოფა. ამგვარი პროექტების ხორცშესხმას სჭირდება თანამოაზრეთა ახალი თაობის, პლეადის ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით ფრიდონმა მყარი ფუნდამენტი შექმნა, გზა გაუკვალა უამრავ ნიჭიერ ახალგაზრდას; მომავალი ამ პლეადის, მისი მოწაფეების ხელშია.

მასთან გამოთხოვება მინდა პოეტის უკვდავი სტროფით დავასრულო:

„მიდიხარ, ისე მიგაქვს წვალება,
თითქოს ზღვის პირას თივას თიბავდე,
ვინა სთქვა შენი გარდაცვალება,
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე....“
მსუბუქი იყოს შენთვის სამშობლოს მიწა.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

## ფრიდონ თოდუას ხსოვნას

შენ ერთმა კაცმა ათასობით ადამიანს გვაჩუქე სიცოცხლის წლები, როდესაც შენ გაგიჭირდა, ათასობით ადამიანმა ვერაფერი შველა მოგეცით, ვერც ჩვენი ქმედებით და ვერც ლოცვით, ამიტომ ვარ გულგატეხილი ღმერთზეც და ადამიანზეც.

თქვენი სიკვდილით შეძრწუნებული
**გრიშა ონიანი.**

არჩილ ხომასურიძე და „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კარგი კაცი და ჩვენი ინსტიტუტის მეგობარი

**ფრიდონ თოდუა**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

## ის ყველა ჩვენგანის მეგობარი იყო...



გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს „რადიოლოგთა ასოციაციის“ და „ტელემედიცინის ასოციაციის“ პრეზიდენტი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მთავარი რადიოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ევროპის, ამერიკისა და რიგი საერთაშორისო რადიოლოგიური და ქირურგიული ასოციაციების წევრი, სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის, სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის პროფესორთა საბჭოს, ჯანმრთელობის სამინისტროს მრჩეველთა საბჭოს, სამედიცინო ეთიკისა და სხვა მრავალი საბჭოსა და კომისიის, რამდენიმე ქართული და უცხოური სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი **ფრიდონ თოდუა**.

მისი სამეცნიერო საქმიანობა ასახულია 500-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში, მათ შორის არის 8 მონოგრაფია, 450-ზე მეტი სტატია. აქვს 15 გამოგონება, მონაწილეობდა 200-ზე მეტ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში, იყო მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ბატონ ფრიდონს მიღებული აქვს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატის წოდება მეცნიერების დარგში. დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით. იყო და მარად დარჩება თბილისის საპატიო მოქალაქე!

ფრიდონ თოდუას კლინიკა, რომელსაც საზოგადოება უბრალოდ „თოდუას ცენტრს“ უწოდებს, მუდმივად ხალხმრავლობით გამოირჩევა. ბატონ ფრიდონს უჩვეულოდ თბილი და გულისხმიერი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა აფხაზეთის მიმართ. მუდამ დიდი სიყვარულითა და ყურადღებით ეკიდებოდა დევნილთა პრობლემებს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს.

2016 წლის 19 თებერვალს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ „ქართული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების მიმართ გამოჩენილი ხელშეწყობისთვის, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სისტემატური და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევისთვის“ — ბატონ ფრიდონს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

სამწუხაროა, რომ ამქვეყნიდან ნაადრევად წავიდა სამშობლოს ნამდვილი მოჭირნახულე, დიდი და გამორჩეული ადამიანი, სამაგალითო კოლხი-ქართველი, რომელიც სიკეთითა და სიყვარულით სავსე გულით ცხოვრობდა და თან გაიყოლა მრავალი ადამიანის ცრემლი და გულისტკივილი. უფრო ტკივილიანია ბატონი ფრიდონის გარდაცვალება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტელთათვის. მას აინტერესებდა ჩვენთან მიმდინარე რეფორმები, სიახლეები, სამეცნიერო კვლევები. უკანასკნელ ხანს აქტიურად ადევნებდა თვალს უნივერსიტეტში მიმდინარე ცვლილებებს, ჰქონდა შემოთავაზებები ახალ ხელმძღვანელობასთან...

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და მთელ ქვეყანას.

ხშირად ჭეშმარიტი ადამიანის მეგობრობას ბევრი იჩემებს, ბატონი ფრიდონი კი თავად იყო ყოველი ჩვენგანის მეგობარი.

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი**

მარინა, თორნიკე ლაღიძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრისა და ნათესავის

**ფრიდონ თოდუას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

ალექსანდრე, პეტრე ჩხეიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ფრიდონ თოდუა**

შესანიშნავი მეგობარი, სამედიცინო დარგის დამსახურებული მოღვაწე, მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ასოციაციის წევრი, ჯილდოების, პრემიებისა და პრიზების მფლობელი. ჩვენ ულრმეს თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს და გამოვხატავთ გვერდში დგომას.

# დიდი იმედის კაცი



„სიკვდილი კაცობრიობის დიდი ილუზიაა, სანამ ვცოცხლობთ, ის ჯერ არ არის და, როცა ვკვდებით, ის უკვე აღარ არის“ — სოკრატე წერდა. აღარ არის ფრიდონ თოდუა, სამწუხაროდ, უნდა შევეგუოთ იმას, რომ ველარ ვიხილავთ მუდმივად მომღიმარ, სიკეთით აღსავსე, მოკრძალებულ, უმშვენიერეს და ულამაზეს კოლხს, რომელიც საქართველოსთვის მთლიანად გაიხარჯა. მისმა ასეთმა ამქვეყნიდან წასვლამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ განგება განაგებს ჩვენს მოსვლასაც და მარადისობისაკენ ჩვენი მოგზაურობის დაწყებასაც. აბა სხვანაირად როგორ გავიგოთ, რომ ვერც ერთმა ჩვენგანმა, მათ შორის საუცხოო წამყვანმა მედიკოსებმა დაბეჯითებით, კონკრეტულად რა მოხდა და რატომ მოხდა, ვერ ავხსენით.

უფალმა ყველაზე კარგად იცის, ვინ რა უნდა აკეთოს დედამიწაზე. ვინ რისკენ წაიყვანოს და უჩვენოს გზა, მისცეს შესაძლებლობა ღვთისაგან ბოძებული ნიჭი სასიკეთოდ გამოიყენოს. ბატონ ფრიდონ თოდუას უფალმა სხვისი განკურნვის, სიცოცხლის ჩუქების ნიჭი მისცა.

ბატონი ფრიდონ თოდუა არ იყო პოლიტიკოსი, მაგრამ ეროვნული მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას ყოველთვის რეალპოლიტიკის პოზიციებზე იდგა და მისი აზრის გათვალისწინების შემთხვევაში შედეგი ყოველთვის პოზიტიური იყო. ის ძალიან ბევრს აკეთებდა აფხაზებთან შესარიგებლად და თავის კლინიკა ლამის სახალხო დიპლომატიის ცენტრად აქცია. წინ უფრო დიდი საქმეების დალაგებას აპირებდა თავის აფხაზ ძმებთან ერთად.

ბატონი ფრიდონ თოდუა არ იყო ხელოვანი, მაგრამ იყო ხელოვნების და მათი წარმომადგენლების ქომაგი და გამორჩეულად გვერდში მდგომი. იგი ეხმარებოდა ყველას დიდსა და პატარას, იყო ეს მისი გასაკეთებელი საქმე თუ არა. სწორედ ამ კაცმა შეძლო, შეექმნა საქართველოში თანამედროვე კლინიკა-მუზეუმი, რომლის საუკეთესო, გამოჩეული სამედიცინო პერსონალი ყოველდღიურად ასობით ადამიანის სიცოცხლისთვის იბრძოდა და იმარჯვებდა კიდევაც. ამის საიდუმლოება კი იმაში მდგომარეობდა, რომ სწორედ ზუსტი დიაგნოზი, სწორი სამედიცინო დანიშნულება და რაც მთავარია, ავადმყოფისათვის იმედის მიცემა, მოფერება და ღიმილი იყო განკურნების ყველაზე დიდი გარანტია. ეს ყველაფერი ჩვენ და ჩვენი ოჯახის წევრებმაც გამოვცადეთ ჩვენს თავზე.

იმდენად დიდი იყო ბატონი ფრიდონის მიერ გაღებული სიკეთე, რომ 500 წელიც რომ ეცხოვრა, მისთვის ამის გადახდა შეუძლებელი იყო. მაგრამ მას დარჩა შესანიშნავი ოჯახი, უბრწყინვალესი, სათნოებით სავსე ქალბატონი თათული, ულამაზესი და უკეთილშობილესი ქალიშვილი ნინო, ორი შვილიშვილი, გიორგი და ნიკოლოზი — ბაბუას მაგარი ბიჭები, სწორედ მათ მიმართ გვმართებს უდიდესი პასუხისმგებლობა ფრიდონის მიერ გაღებულ სიკეთესთან მიმართებაში და ეს ყველას უნდა გვახსოვდეს.

ბატონ ფრიდონის განვლილ გზას თუ კარგად გავიაზრებთ და შევაფასებთ, თამამად და თავაწეულებმა შეგვიძლია განვაცხადოთ: ფრიდონ თოდუა იყო ოჯახის თავკაცი, სამეგრელოს ღირსეული შვილი, ერისკაცი და დიდი იმედის კაცი. „ნეტარ არიან გულით მართალნი, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ“.

ჯემალ გახოკიძე

---

რაულ ჩილაჩავა, ბაკურ გულუა, კლიმენტი ჯანჯღავა, გურამ გუნავა, ჯემალ ცერცვაძე, გივი აბდუშელიშვილი, დემიკო ლოლაძე, გურამ ახალაია, ლერი ჭითანავა, ვახტანგ ცხადაია, კახა არდია, ვახტანგ მეუნარგია, გივი სოსელია, თენგიზ მეუნარგია, ზურაბ გოგოხია, ზურაბ აბშილავა, ლაური ჯანაშია, ავთო ბესელია, ტარიელ დგებუაძე, ნუგზარ იზორია, ვახტანგ სიჭინავა, ზურაბ ჩიქავა, ზურაბ ალშიბაია, სოსო სოსელია, ჯემალ კვირტია, სპარტაკ გოგინავა, მერაბ ზამბახიძე, ოთარ ჭითანავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადამრჩენის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, საქვეყნოდ ცნობილი პიროვნების, აკადემიკოს

## ფრიდონ თოდუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი უდიდესი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ბრწყინვალე სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და უცვლელი თავკაცი, აკადემიკოსი, ბატონი

## ფრიდონ თოდუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

მანანა, დემურ მიქაძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართველი ხალხის ჯანმრთელობის დიდი მოამაგე, უდიდესი კლინიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი უცვლელი თავკაცი, აკადემიკოსი, ბატონი

## ფრიდონ თოდუა

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და ახლობლებს.

ბატონო ფრიდონ! გემშვიდობებით და კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ პირადად თქვენ და თქვენი ინსტიტუტის სახელოვან კოლექტივს ჩემი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

თქვენი დემური

# 15 ოქტომბერს „ქართული ღვინის ფესტივალი 2017“ შარდენზე გაიმართება

**15 ოქტომბერს, კვირას 12:00-დან 19:00 საათამდე „ქართული ღვინის ფესტივალი 2017“ შარდენზე გაიმართება. ღვინის ონლაინმაღაზია allwine.ge-სა და „მეიდან ჯგუფის“ ორგანიზებით, ქართული ღვინის მწარმოებლები ფესტივალის სტუმრებს საკუთარ ღვინოებს წარუდგენენ და ერთმანეთს საუკეთესო მეღვინის ტიტულის მოპოვებაში შეეჯიბრებიან. გამოფენაზე 40-მდე სახეობის ღვინის დეგუსტაცია და გამოფენა- გაყიდვა იგეგმება.**

ფესტივალი დატვირთული იქნება სხვადასხვა სახის აქტივობებით. უნიკალური ჯიშის ყველი, საუკეთესო ჩურჩხელა და ჩირი, ქართული პური, მრავალფეროვანი მუსიკა. აქ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას ნებისმიერი გემოვნების მქონე ადამიანი შეძლებს. ღვინის ისტორიის გაცნობა შესაძლებელი იქნება როგორც ღვინის დაგემოვნებით, ასევე წიგნებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით. წარმოდგენილი იქნება გამომცემლობა „პალიტრა L“, რომლის სტენდზეც მრავლად ნახავთ წიგნებს ღვინის შესახებ. აქვე იქნება კომპანია VR House, რომელიც ვირტუალური რეალობის სათვალეების საშუალებით ქართულ ტრადიციებში, ღვინის წარსულში გამოგზაურებთ. ასევე მოეწყობა ქართული ხელნაკეთი აქსესუარების გამოფენა-გაყიდვა.




allwine.ge ფესტივალის ფარგლებში კიდევ ერთ მასშტაბურ პროექტს იწყებს, რომელიც მიზნად, ასევე, ქართული ღვინის პოპულარიზაციას ისახავს. „10 ღვინო, რომელიც უნდა გასინჯო, სანამ ცოცხალი ხარ“ - ასე ჰქვია აღნიშნულ პროექტს. ფესტივალის მონაწილე 40-მდე მწარმოებელი 1 თეთრ და 1 წითელ ღვინოს წარადგენს და ბრმა დეგუსტაციის საფუძველზე სახალხო ხმის მიცემა იწარმოებს. შემდეგი ეტაპზე ხმის მიცემა ონლაინ იქნება. საბოლოოდ, ხალხის რჩეულიდან 10 საუკეთესო ღვინოს კვალიფიციური სომელიეების გუნდი გამოავლენს.

# უნიკალური ქართული დამწერლობა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე

**„2017 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ საორგანიზაციო ჯგუფი უკვე სამომავლო გეგმებს აწყობს“, — ამის შესახებ ფრანგული გამოცემა Actualitte წერს.**

მედიასაშუალების ცნობით, 2018 წელს, წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი საქართველო იქნება. აღნიშნულ სტატუსს საქართველოს საფრანგეთი გადასცემს.




**„წლევანდელ ღონისძიებაზე, 12 ოქტომბერს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორ მედეა მეტრეველთან და გერმანულენოვან ქართველ დრამატურგ, რეჟისორ და მწერალ ნინო ხარატიშვილთან ერთად 2018 წლის პროგრამის პრეზენტაციას გამართავს.**

**პრეზენტაციას დაესწრება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დირექტორი იურგენ ბოსი.**

**2018 წელს, საქართველოს პროგრამის ნაწილი ქართული კულტურა და ლიტერატურა, ასევე ავტორები იქნება, თუმცა ძირითადი აქცენტი უნიკალურ, ქართულ დამწერლობაზე გაკეთდება.**

**აღსანიშნავია, რომ ქართული დამწერლობა, რომელიც ჯერ კიდევ ძველ წელთაღრიცხვაში მეფე ფარნავაზ პირველმა შექმნა და დღემდე გამოიყენება, 2016 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია“**, — წერს გამოცემა.

ცნობისთვის, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, რომელსაც 500-წლიანი ისტორია აქვს, ყოველწლიურად 300 ათასამდე ვიზიტორს მასპინძლობს და 400 ათასამდე წიგნს გამოფენს.

---

## შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ „500 კვ ძაბვის ეგხ „ქსანი-სტეფანწმინდას“პროექტში შეტანილი ცვლილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა

საჯარო განხილვის ჩატარების ადგილი: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მისამართი: დუშეთი, რუსთაველის ქ.№27;

საჯარო განხილვის ჩატარების თარიღი და დრო: 2017 წელი, 4 დეკემბერი, 14:00 სთ;

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: „500 კვ ძაბვის ეგხ „ქსანი-სტეფანწმინდას“ შეცვლილი მონაკვეთის მშენებლობა.

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ენერგოტრანსი“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მიაწოდოთ შპს „ენერგოტრანსს“ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის ქ.2. საკონტაქტო პირი: ანდრო ხეთაგური, ტელ: 577 23 25 95; ელ. ფოსტა: a.khetaguri@energotrans.com.ge

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

შპს „ენერგოტრანსი“-ს სათაო ოფისი. ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ.2;

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, დუშეთი, რუსთაველის ქ.№27;

დღესასწაული

# დღესასწაული პალიასტომის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატისა



**11 ოქტომბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს პალიასტომის ღვთისმშობლის ხატის დღეს.**

...პალიასტომის (ფოთის, ქუთაისის) ეს უძველესი ხატი კოლხეთის უძველესი ქალაქის ფაზისის საკათედრო ტაძარში იყო დაბრძანებული.

ისტორია გვამცნობს, რომ დაახლოებით VIII-IX საუკუნეებში ეს ტაძარი ჩაიძირა და ახლა იქ პალიასტომის ტბაა.

საგულისხმოა, რომ ტაძრის ჩაძირვამდე მის წინამძღვარს მარიამ ღვთისმშობელი მრავალგზის გამოეცხადა და ხატის გელათში გადაბრძანება უბრძანა. ამჟამად ხატი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმშია.

ქუთაისის (პალიასტომის, ფოთის) ღვთისმშობლის ხატის შესახებ აი, რას ვკითხულობთ: ...„წინათ ღვთისმშობლის ეს ხატი გურიის ციხე-ქალაქ პალიასტომის საკერებულო ტაძარში იდგა, საყდრის მთავარხუცესმა იმ ხატის შთაგონებით ჩვენება იხილა; თურმე, თითქოს მას ღვთისმშობელმა სიზმარში უთხრა, რომ ტაძრიდან შესულიყო და მისი ყოვლადწმინდა ხატი პალიასტომიდან გამოეტანა, რადგან ციხე-ქალაქს წყალში ჩაძირვა ელისო. მთავარხუცესს სიზმრისთვის არ დაუჯერებია და არც სხვისთვის გაუგებინებია ამის შესახებ. ღვთის ნებით ციხე-ქალაქი ხალხითურთ ჩაიძირა...

მარიამ ღვთისმშობლის „პალიასტომის" ხატი წარღვნას გადაურჩა — თურმე ის ჰაერში მოდიოდა, უხილავად, თავისუფლად!

...ნიშანდობლივია ისიც, რომ მთავარხუცესმა ეს სასწაული დაინახა თუ არა, ცოდვების მისატევებლად მუხლებზე დაიჩოქა, ...ხატი ჰაერიდან მის ხელებში მიესვენა".

„პალიასტომის" ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი დავით მეფის შვილიშვილს — გიორგი მეფეს ქუთაისის ციხე-ქალაქში გადაუბრძანებია. მას შემდეგ მარიამ ღვთისმშობლის „პალიასტომის" ხატს ქუთაისის ხატსაც უწოდებენ.

გვფარავდეს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი!

**გიული ლიპარტია**

# სწორი არჩევანი მომავალი სპორტსმენისთვის

**როცა კი ბავშვი წამოიზრდება, მშობლებს ხშირად ერთი თავსატეხი უჩნდებათ — სპორტის რომელ სახეობაზე მიიყვანონ შვილი, რომ მისი ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად სარგებლიანი იყოს?**

სპორტული მედიცინის ბევრი სპეციალისტი სპორტის ასეთ სახეობად **ცურვას** მიიჩნევს. საქმე ისაა, რომ უკვე 3 წლის ასაკიდან მოყოლებული თავისუფლად შეიძლება ბავშვის ყველაზე დაბალწყლიან აუზში — ე.წ. „საბაყაყეში" ჩაშვება. ამის ერთი დადებითი მხარე ისაა, რომ ბავშვი ცურვას ისწავლის, რაც თავისთავად ძალიან კარგია. მეორე გარემოება ისაა, რომ წყალი მას დისციპლინას მიაჩვევს. ამას კიდევ უნდა დავუმატოთ ორგანიზმის გაკაჟება.

ასევე კარგი არჩევანია **მხატვრული ტანვარჯიში** და **ცეკვები**.

სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ ბევრი მშობლის მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ უნდათ, რომ შვილები უმალ კარგი ფეხბურთელები, კალათბურთელები, ხელბურთელები და ა.შ. დადგნენ. არადა, თავდაპირველი საზრუნავი უნდა იყოს საერთო ფიზიკური განვითარება. კოორდინაციის სრულყოფისთვის მეტად მნიშვნელოვანია **ცურვა** და **მძლეოსნობა,** შემდეგ კი ყველაფერი დანარჩენი. შეცდომაა ფიზიკურად ჯერ განუვითარებელი, ვთქვათ, ხუთი წლის ბავშვის უცბად „ვიწრო სპეციალიზაციაში" ჩასმა, რასაც გარკვეული დროის შემდეგ, სახსრებისა და მყესების ტრავმები მოჰყვება.



# რატომ „გვაბერებს" ღიმილი?

**გაკვირვებულ, ანდა, სულაც, უემოციო სახესთან შედარებით, მომღიმარ სახეს უფრო ასაკოვანი შეხედულება აქვს — ესაა ისრაელ მეცნიერთა დასკვნა.**

მკვლევარებმა საკონტროლო ჯგუფის წევრ 40 სტუდენტს ფოტოებზე აღბეჭდილი ადამიანების ასაკის შეფასება სთხოვეს. ყველა მათგანმა განაცხადა, რომ ყველაზე ასაკოვნად მომღიმარე ხალხი გამოიყურება, შემდეგ მოდიოდნენ სახის უემოციო გამომეტყველებიანი ადამიანები, ყველაზე ახალგაზრდულად კი გაკვირვებულები გამოიყურებოდნენ.



სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ღიმილის გამო ადამიანი უფრო ხანდაზმულად იმის გამო გამოიყურება, რომ თვალების კუთხეებში ნაოჭები უჩნდება.

## გასაცინებელი ა(მ)ბები

### პარიზის ერთ-ერთ კანტორაში

**შეფთან** კაბინეტში შედის მუსიე დიუპონი.

— თქვენთან უკვე ათი წელიწადია, რაც ვმუშაობ, თანაც სამის მაგივრად ვმუშაობდი. იქნებ, ცოტა მომიმატოთ ხელფასი.

— მართალი ბრძანდებით, თუმცა ხელფასს ვერ მოგიმატებთ. ოღონდ ძალიან გთხოვთ, დამისახელე ვინ არის ის ორი, ვინც შენთან ერთად მუშაობს და ორივეს ეგრევე მოვხსნი.

### შოტლანდიური ანეკდოტი

**სტუდენტის** წერილი მამას:

„საყვარელო მამიკო, რომ იცოდე, როგორ ვწითლდები სირცხვილისგან ამ წერილის წერის დროს, ნამდვილად შეგეცოდებოდი! იცი, რატომ? იმიტომ, რომ იძულებული ვარ, ფულის გამოგზავნა გთხოვო და არ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი თხოვნა. ამ წერილის გამოგზავნას სიკვდილი მირჩევნია! წერილს ნაცნობ ადამიანს ვატან და შენს პასუხს დაელოდება. **შენი საყვარელი შვილი**".

P.S. ისეთი რამ მოგწერე, რომ მაშინვე შემრცხვა და ჩემს გამოგზავნილ ნაცნობ კაცს გამოვეკიდე, რათა წამერთმია ჩემი თავხედური წერილი, მაგრამ ველარ დავეწიე! იქნებ ბედნიერი რამ შემთხვევა მოხდეს და წერილმა შენამდე ვერ მოაღწიოს!"

**მამის** წერილი სტუდენტს:

„ძვირფასო შვილო, ნუ ღელავ, დამშვიდდი! გაწითლება აღარ მოგიწევს! ის ბედნიერი შემთხვევა უკვე მოხდა და შენმა გამოგზავნილმა ნაცნობმა შენი წერილი გზაში სადღაც დაკარგა. **შენი მოსიყვარულე მამა**".

### თქვენი შეხედულებისამებრ

**ამერიკელ** მილიონერს შინ მიადგა მავანი ახალგაზრდა კაცი და ეუბნება:

— მე თქვენი ქალიშვილი მიყვარს, მაგრამ, რა ვქნა, ერთი დოლარიც არ მიჭყავის გახვრეტილ ჯიბეში. არცრა პერსპექტივა არა მაქვს. ვიცი, რომ უფლება არა მაქვს, თქვენი ქალიშვილის ხელი გთხოვოთ, მაგრამ მოგეხსენებათ, სიყვარული ისეთი რამ არის, ყველაფერს მაბედვინებს.

— კი, ბატონო, ოღონდ ჩემი რომელი ქალიშვილი გიყვართ ეგრე ძალიან? — ეკითხება მილიონერი.

— თქვენი შეხედულებისამებრ, რომელზეც უარს არ მეტყვით.

### ინდური სიბრძნიდან

**თუ** შენზე ცუდს ლაპარაკობენ, კმაყოფილი იყავი, რომ არ შეურაცხგყოფენ; თუ შეურაცხგყოფენ, კმაყოფილი იყავი, რომ არ გცემენ; თუ გცემენ, კმაყოფილი იყავი, რომ არ გკლავენ, ხოლო თუ გკლავენ, კმაყოფილი იყავი, რომ ამ უბარაქო და მტანჯველ წუთისოფელს შორდები.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4786; ევრო - 2.9109;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2591;
100 რუბლი - 4.2432; თურქული ლირა - 0.6702;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4543;
1000 სომხური დრამი - 5.1778.

**ამინდი 11 ოქტომბრისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +9 | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +4, | დღე +16 |

დასავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +10, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +8, | დღე +17 |
| თბილისი: | ღამე +14, | დღე +20 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge